



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო
დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური
სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქტორი აქსელ
ბოეტციხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო
დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარე,
პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური
სასამართლოს ყოფილი ვიცე
პრეზიდენტი, დოქტორი
ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქტორი
დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მოსამართლე,
პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი
(თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

წინასიტყვაობა

1

სტატიები

ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*,
კიოლნის უნივერსიტეტი

2

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მიქანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ირაკლი დვალაძე*,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11

წიგნის რეცენზიები

ბაჩანა ჯიშაკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

(გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2016, 246 გვ.)

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *თემურ ცქიტიშვილი*,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

18

სხვადასხვა

ანგარიში კონფერენციაზე: „ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია“

2016 წლის 4-5 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

სამართლის დოქ. *ანნეკე პეტცშე*, MSc (ოქსფორდის უნივერსიტეტი)

28



სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეჯიის
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანეკე პეტცმე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩეანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის პირველი გამომცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

თამარი ასათიანი LL.M. (პასაუ)
ხატია თანდილაშვილი LL.M. (პოტსდამი)
ლაშა კალანდაძე (თარგმანი)
ანი ნასრაშვილი LL.M. (კიოლნი)

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და

თარგმანის კორექტირება:

ლექტორი სისხლის სამართალში იზა კელენჯერიძე
ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქ. თემურ
ცქიტიშვილი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და

თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. ანეკე პეტცმე, MSc (ოქსფორდის
უნივერსიტეტი)
სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

პირველ გამომცემაზე პასუხისმგებელი პირი და

საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი ანრი
ოხანაშვილი LL.M. (იენა)

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

წინასიტყვაობა*

ძვირფასო მკითხველო,

მოხარულები ვართ, გაცნობოთ, რომ ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალის („DGStZ“) გამოცემა 2017 წელსაც გრძელდება!

2017 წელი საქართველო-გერმანიის ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წელია, ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულია საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლად. აქედან გამომდინარე, ჩვენ – გამომცემლებმა – გადავწყვიტეთ, რომ ჟურნალის 2017 წლის ყველა გამოცემა სიმბოლურად მიეძღვნას საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელს.

წარმოგიდგინებთ 2017 წლის პირველ ელექტრონულ გამოცემას, რომლის წაკითხვა და ჩამოტვირთვა ქართულ და გერმანულ ენებზე შეგიძლიათ კვლავ უფასოდ, ჩვენი ჟურნალის ელექტრონული გვერდის – www.dgstz.de – მეშვეობით.

რაც შეეხება გამოცემის შინაარსს, მასში მოცემულია ქართველი და გერმანელი პროფესორების საინტერესო სტატიები სისხლის სამართლის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

ჟურნალი სთავაზობს ქართულ და გერმანულენოვან მკითხველს მარტინ პაულ ვასმერის ძალზედ საინტერესო სტატიას, რომელიც ეხება ზოგადად ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის საკითხს. ავტორი დეტალურად აღწერს ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციას, რომელსაც ევროკავშირის სისხლის სამართლის წარმოშობასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის, ვინაიდან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, დადგება საკითხი ასევე ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

ჩვენი მკითხველისათვის, ასევე, საინტერესო იქნება ირაკლი დვალაძის სტატია, რომელშიც ავტორი განიხილავს საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებს. ვინაიდან ტერორიზმთან ბრძოლა საერთაშორისო თანამეგობრობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ავტორი აანალიზებს საქართველოს კანონმდებლობაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ რეგულაციებს და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობას.

წინამდებარე გამოცემაში, რუბრიკაში – „წინააღმდეგ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ რეგულაციებს და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობას.“

წინამდებარე გამოცემაში, რუბრიკაში – „წინააღმდეგ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით – სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, დანაშაულის ადამიანის წინააღმდეგ.“

წინამდებარე გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცმეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

წინამდებარე გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცმეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

წინამდებარე გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცმეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

წინამდებარე გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცმეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

წინამდებარე გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცმეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

წინამდებარე გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცმეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

* წინასიტყვაობა ქართულად თარგმნა „DGStZ“-ის მთავარმა რედაქტორმა, ასისტენტმა ანრი ოხანაშვილმა (თსუ).

ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია*

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

2014 წელს ხელმოწერილი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის პირველ ივლისს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული არა მხოლოდ ორმხრივი ბაზრის გახსნა, არამედ ევროკავშირის სამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაციაც. აღნიშნული „ევროპეიზაცია“ განსაკუთრებით ეხება ეკონომიკურ სისხლის სამართალს. ვინაიდან ევროპულ ბაზარს, როგორც ერთიან ეკონომიკურ რეგიონს, რომელიც ოთხი ევროპული ძირითადი თავისუფლებით – საქონლის თავისუფალი ბრუნვით, პირთა თავისუფალი გადაადგილებით, მომსახურების თავისუფლებითა და კაპიტალისა და ანგარიშსწორების წარმოების თავისუფლებით ხასიათდება, ეკონომიკური სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია უნდა მოჰყვეს შედეგად.

I. ევროპული ეკონომიკური სისხლის სამართალი

პირველ რიგში განსაზღვრას ექვემდებარება ცნება „ეკონომიკური სისხლის სამართალი“, უფრო ზუსტად კი – „ევროპული ეკონომიკური სისხლის სამართლის“ მნიშვნელობა.

1. კრიმინოლოგიური ცნების განსაზღვრა

ეკონომიკური დანაშაულის ყველაზე ცნობილი დეფინიციის ავტორია საზერლენდი, რომელმაც მას 1939 წელს „თეთრსაყელიანთა დანაშაული“ უწოდა.¹ მას ამით სურდა საზოგადოების ყურადღება იმ ფაქტზე გაემახვილებინა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებს საშუალო და ზედა ფენის

* სტატია ეყრდნობა მოხსენებას, რომელიც ავტორმა გააკეთა 4.11.2016 წელს „ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის“ კონფერენციის ფარგლებში.

სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა ანი ნასრაშვილმა.

¹ Sutherland, Edwin. H., American Sociological Review 5 (1940), S. 1 (9).

წარმომადგენლებიც ჩადიან. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს გაბედული დეფინიცია, ერთი მხრივ, ძალიან ვიწროა, ვინაიდან იგი მხოლოდ ქმედების ჩამდენზე ფოკუსირდება და, მეორე მხრივ, ცნება ძალიან ფართოა, რადგან ის ყოველ დასჯად ქმედებას მოიცავს, ასევე იმ ქმედებებს, რომლებიც არ არიან ეკონომიკური ხასიათის. ამ დეფინიციას არც შემდგომი განვითარება არ განუცდია. ეს ეხება როგორც „occupational crimes“-ს, ასევე – „corporate crimes“-ს.² პირველ შემთხვევაში პროფესიის განხორციელების დროს ჩადენილი ყველა სისხლის-სამართლებრივი ქმედების ჩართვა ძალიან შორს მიდის, მეორე შემთხვევაში კი მოცულია მხოლოდ ის დანაშაულები, რომელთა ჩადენა სანარმოთა ინტერესიდან გამომდინარე ხდება.

2. ცნების პროცესუალური განსაზღვრა

მართალია, გერმანელ კანონმდებელს „ეკონომიკური სისხლის სამართლის“ დეფინიცია არ მოუცია, მაგრამ განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც მიწის სასამართლოს განსჯადობის ქვეშ არიან, ეკონომიკური სისხლის სამართლის პალატას დაუქვემდებარა. სასამართლოების შესახებ გერმანული კანონის §74c-ს პირველი აბზაცის პირველი წინადადების ნომერი ერთიდან ოთხამდე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულთა მოცულობით ჩამონათვალს ეკონომიკური სამართლის შესახებ კანონის მიხედვით და ასევე სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე ჩამდენიმე დანაშაულს. ამასთან, ამავე კანონის §74c-ს პირველი აბზაცის პირველი წინადადების Nr. 6a და 6b ჩამოთვლიან იმ დანაშაულებს, რომლებიც შესაძლოა გადაეცეთ ეკონომიკური სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, თუ „კონკრეტული შემთხვევის განხილვისთვის ეკონომიკის სპეციალური ცოდნა მოითხოვება.“ ამის უკან დგას ის მოსაზრება, რომ ეკონომიკური დანაშაულები

² ზოგადი მიმოხილვა Wittig, Petra, Wirtschaftsstrafrecht, 3. Aufl. 2014, § 2 Rn. 12 ff. m.w.N.

განსაკუთრებით რთულად განსახილველ დელიქტთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა შეფასებისთვის განსაკუთრებული ადამიანური, ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსია საჭირო.³ აღნიშნულის მიუხედავად, ეს დეფინიცია ხარვეზიანია, ვინაიდან ის დანაშაულები, რომლებიც კატალოგში მოხსენიებული არ არის და ის ქმედებები, რომლებიც, მართალია, აღნიშნულია Nr. 6a და 6b-ში (მაგალითად, მითვისება), მაგრამ, მხოლოდ „დაკონსერვებულია“, დეფინიციით მოცული არ არის.

3. სამართლებრივ სიკეთეზე ორიენტირებული დეფინიცია

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეკონომიკური ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულთა დროს დაცვის ობიექტს ეკონომიკური ცხოვრების არაინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე წარმოადგენს.⁴ დაცულ სამართლებრივ სიკეთედ, გარკვეულწილად, ძალიან ფართო გაგებით, სახელდება მთლიანი ეკონომიკური წესრიგი,⁵ ნაწილობრივ შეზღუდულად კი – სოციალური საბაზრო ეკონომიკა თუ მისი ცალკეული პრინციპები.⁶ გარდა ამისა, ნაწილობრივ ხდება ასევე სისტემისადმი ნდობის ბოროტად გამოყენებაზე⁷ მითითებაც. ამ მიდგომების საპასუხოდ კი აღინიშნება, რომ კოლექტიური სამართლებრივი სიკეთე ზედმეტად ბუნდოვანი და ხელოვნურია.⁸ ამ მოსაზრების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ბევრი დანაშაულის შემთხვევაში მთავარ მიზანს ინსტიტუციების (ბირჟა, კრედიტი) დაცვა წარმოადგენს.⁹

³ შეად. *Waßmer, Martin Paul*, in: *Graf/Jäger/Wittig* (Hrsg.), *Wirtschafts- und Steuerstrafrecht*, 2. Aufl. 2017, § 266 StGB Rn. 4.

⁴ *Tiedemann, Klaus*, *Wirtschaftsstrafrecht, Einführung und Allgemeiner Teil*, 4. Aufl. 2014, Rn. 65.

⁵ *Tiedemann, Klaus*, *Juristische Schulung (JuS)* 1989, 689, 691.

⁶ *Bottke, Wilfried*, *Zeitschrift für Wirtschafts- und Strafrecht (wistra)* 1991, 1, 4.

⁷ *Otto, Harro*, *Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft (ZStW)* 96 (1984), S. 339, 342.

⁸ შეად. მხოლოდ *Roxin, Claus*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Bd. I, 4. Aufl. 2006, § 2 Rn. 75 ff.

⁹ *Tiedemann, Klaus*, *Wirtschaftsstrafrecht, Einführung und*

სისხლისსამართლებრივ ქმედებებთან მიმართებით არაინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის საკითხი ამოიწურება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხაზგასმულია ექსკლუზიურად ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის თაობაზე.

4. კრიმინოლოგიურ ასპექტსა და სამართლებრივ სიკეთეზე დაფუძნებული დეფინიცია

უპირატესობის მქონეა ცნების ის განსაზღვრება, რომელიც კრიმინოლოგიურ ასპექტს სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან ერთობლიობაში მოიაზრებს¹⁰ და ევროპულ სამართალსაც მათთან ერთად განიხილავს. აღნიშნულის თანახმად, ევროპული ეკონომიკური სისხლის სამართლი მოიცავს ყველა დანაშაულს, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის დროს იქნა ჩადენილი საზოგადოებრივ (არაინდივიდუალურ) სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით, ვინაიდან ამ დანაშაულებით ევროკავშირის ოთხი ძირითადი თავისუფლების ანდა ევროკავშირის ორგანოების დაზიანება ხდება. ქმედების შემადგენლობებით შესაძლოა დაცულ იქნეს არა მხოლოდ არაინდივიდუალური, არამედ ასევე ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე, თუ მათი დაზიანებით ტრანსნაციონალური გავლენა სახეზეა. ეს ცნება მოიცავს მთლიან ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა იგი შეზღუდულია იმით, რომ სისხლის სამართლის დანაშაულს ევროკავშირის ძირითად თავისუფლებებთან ანდა ევროკავშირთან უნდა ჰქონდეს კავშირი.

II. ევროპეიზაციის სტადიები

ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული ევროკავშირის სისხლის სამართლის წარმოშობასთან.

Allgemeiner Teil, 4. Aufl. 2014, Rn. 65.

¹⁰ შეად. გერმანულ ეკონომიკური კრიმინოლოგიის ლიტერატურასთან, შეად. *Schwind, Hans-Dieter*, *Kriminologie und Kriminalpolitik*, 23. Aufl. 2016, § 21 Rn. 17 m.w.N.

1. ევროპული გაერთიანება (31.10.1993-მდე)

ა) ზოგადი მიმოხილვა

მაასტრიხტის ხელშეკრულების დადებამდე არსებული ევროპული გაერთიანება შედგებოდა სამი ორგანიზაციისგან – ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ევროპის ატომური გაერთიანება, ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება. შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპის თანახმად (დღეს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი აბზაცი), გაერთიანებებს შეეძლოთ ემოქმედათ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მიზნიდან გამომდინარე. სისხლის სამართლის რეგულირების კომპეტენცია მისთვის გადაცემული არ ყოფილა.¹¹ ამდენად, ევროპულ სამართალს თავდაპირველად მხოლოდ შეზღუდული გავლენა ჰქონდა ეროვნულ ეკონომიკურ სისხლის სამართალზე.

ბ) ძირითადი მოთხოვნები ეროვნული სისხლის სამართლისადმი

ამის მიუხედავად, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ძირითადი თავისუფლებები სისხლის სამართალზეც მოახდენდა გავლენას. მაგალითად, სასჯელის შემოღება სახელმწიფოში საქონლის იმპორტისა და ექსპორტისთვის საქონლის მიმოქცევის თავისუფლებაში ჩარევა იქნებოდა. პირველ რიგში დასადგენი იყო, ეროვნული სისხლის სამართლის გამოყენებას საზღვრებს მიღმა (საქონლის) მიმოქცევის დროს ანგარიში უნდა გაენია თუ არა ძირითადი თავისუფლებებისთვის. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ამასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა მოთხოვნები პირველადი სამართლიდან, სადამფუძნებლო ხელშეკრულებების გამოყენებით.¹² სასამართლომ განსაზღვრა პირველ რიგში ეროვნული სისხლის სამართლის ზღვარი, ვინაიდან გაერთიანების წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის შენარჩუნება დაუშვებელი იყო. აღნიშნული, ერთი მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ქმედება, რომელიც ევროპული გაერთიანების სამართლის თანახმად დასაშვებია, ეროვნული სამართლით სანქციას არ უნდა ითვალისწინებდეს,

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდვის დანესება ლეგიტიმური ინტერესით გამართლებულია.¹³ მეორე მხრივ, აქედან გამომდინარეობს ის, რომ არათანაზომიერი და დისკრიმინაციული სანქციები ძირითად თავისუფლებებს ხელყოფს.¹⁴ პირველადი სამართლიდან ასევე გამომდინარეობს ეროვნული სისხლის სამართლის გამოყენების ქვედა ზღვარი, რაც იმას გულისხმობს, რომ წევრი სახელმწიფოები ლოიალური თანამშრომლობის პრინციპის თანახმად (დღეს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლი), ევროპული გაერთიანების სამართლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე ქმედითი, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციებით უნდა რეაგირებდნენ.¹⁵ ამასთან, სისხლის სამართლის განმარტებასთან მიმართებით დადგენილია, რომ განმარტება ევროპული გაერთიანების სამართალთან თანხვედრაში უნდა იყოს¹⁶ და ნორმის ინტერპრეტაციის სხვადასხვა ვარიანტიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ევროპული სამართლის მოქმედებას ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს. (*effet utile*)¹⁷.

გ) სამართლებრივი აქტები განსაკუთრებით მნიშვნელოვან დანაშაულთა სფეროში

დამატებით, მეორად სამართალში შემუშავდა პირველად სამართალზე დაყრდნობით სამართლებრივად სავალდებულო რეგულაციები სამართლებრივი დაახლოებისთვის. ამგვარად დაეყრდნო ევროპული გაერთიანების ინსაიდერული დირექტივა 89/592/EWG¹⁸ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-100ა მუხლს, რომლის თანახმად „წევრ სახელმწიფოთა იმ სამართლებრივი ნორმებისა და ადმინისტრაციული აქტების დაახლოებისთვის, რომლებიც შიდა ბაზრის მოწყობასა და ფუნქციონირებას ეხება,“ შესაძლებელია ღონისძიებების გატარება. დირექტივის მე-13 მუხ-

¹³ შეად. §§ 106, 108a UrhG EuGH EuZW 2012, 663 – Donner mit Anm. Sobotta, Christoph.

¹⁴ შეად. EuGH NVwZ 1993, 661 – Kraus.

¹⁵ Satzger, Helmut, Internationales und Europäisches Strafrecht, 7. Aufl. 2016, § 8 Rn. 27 ff. m.w.N.

¹⁶ შეად. მხოლოდ ცნებასთან „Abfall“ Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Strafsachen (BGHSt) 37, 333, 336 f.

¹⁷ EuGH Slg. 1974, 1337.

¹⁸ ინსაიდერული საქმიანობის შესახებ ნორმების კოორდინირებასთან დაკავშირებული დირექტივა 89/592/EWG, 13.11.1989, Amtsblatt (ABl.) 1989 L 334, S. 30.

¹¹ Rosenau, Henning/Petrus, Szabolcs, in: Vedder/Heintschel von Heinegg (Hrsg.), Europäisches Unionsrecht, 2012, Art. 83 AEUV Rn. 2.

¹² შეად. მხოლოდ Satzger, Helmut, Internationales und Europäisches Strafrecht, 7. Aufl. 2016, § 8 Rn. 14 ff.

ლის თანახმად, სანქციები, რომლებიც დარღვევებისთვის არის გათვალისწინებული, „საკმარის სტიმულს“ უნდა შეიცავდეს ნორმის დაცვის მიზნით. აღნიშნული არ უკავშირდებოდა სისხლისსამართლებრივი ხასიათის სანქციების შემოღებას. G-ამის მიუხედავად, ეს გერმანელი კანონმდებლისთვის საკმარის მიზეზს წარმოადგენდა ფასიანი ქალაქების შესახებ კანონის შექმნისთვის 1994 წლის 1 აგვისტოს,¹⁹ რომელიც ინსაიდერულ საქმიანობას სასჯელს უქვემდებარებდა.

დ) ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვა

საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესები სუბსიდიური მაქინაციებისა და საგადასახადო თაღლითობებთან დაკავშირებული ქმედებებისგან დაცვას საჭიროებდა. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ 1989 წელს თავისი ინოვაციური გადაწყვეტილებით სიმინდის სკანდალთან²⁰ დაკავშირებით ნევრ სახელმწიფოთა ლოიალურობის ვალდებულებაზე დაყრდნობით შემოიღო ასიმილაციის პრინციპი, რომლის თანახმად, ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ევროპული გაერთიანების ინტერესების დაცვა საკუთარ ფინანსურ ინტერესებს გაუთანაბრონ და ქმედითი, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციები გაითვალისწინონ. მაასტრიხტის ხელშეკრულებით აღნიშნული თანასწორობის პრინციპის სახით აისახა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 209ა მუხლში (დღეს ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მუხლი 325. აბზ. 2).

2. ევროკავშირი მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდგომ (1.11.1993-30.4.1999)

ა) ზოგადი მიმოხილვა

მაასტრიხტის ხელშეკრულებით 1992 წლის 7 თებერვალს²¹ (ძალაში შესვლის თარიღი – 1.11.1993)

ევროკავშირის დაარსებით, პირველ სვეტთან – ევროპულ გაერთიანებასთან ერთად განისაზღვრა ორი სხვა სვეტის არსებობა, კერძოდ – საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში. თუმცა მაასტრიხტის ხელშეკრულება პირდაპირი ფორმულირებით არ ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კომპეტენციას. ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების K.3 მუხლის თანახმად, მოქმედების ფორმებად ერთობლივი ღონისძიებების მიღება და შეთანხმების დამუშავება მოიაზრებოდა.

ბ) შეთანხმება

შეთანხმების მიღება არ იყო სავალდებულო ძალის, არამედ ნევრ სახელმწიფოთათვის სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნდა, რაც ნაკლებეფექტური გამოდგა. ამის დადასტურებაა ის, რომ 1995 წლის 26 ივლისს, ევროკავშირის იმ დროისთვის თხუთმეტივე ნევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი შეთანხმებას ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ.²² თუმცა ე.წ. PIF-Konvention²³ მხოლოდ 2002 წლის 17 ოქტომბერს შევიდა ძალაში, ვინაიდან მისი რატიფიცირების პროცესი გადაიდო. იგივე სირთულეების წინაშე იდგა 1996 წლის 27 სექტემბრის²⁴ პირველი ოქმი მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 1996 წლის 29 ნოემბრის²⁵ ოქმი, რომელიც ამ სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის გზით ნორმათა განმარტებას ანესრიგებს და ბოლოს 1997 წლის 19 ივნისის²⁶ მეორე ოქმი, რომლის განხილვის საგანი იურიდიული პირების პასუხისმგებლობა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაა. PIF-Konvention მოგვიანებით დაზუსტდა 1997 წლის 26 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმებით – ევროპული გაერთიანების ან ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოების მოხელეების მონაწილეობით ჩადენილი მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის

¹⁹ ფინანსური ბაზრის ხელშეწყობის შესახებ მეორე კანონი (2. FFG) vom 26.7.1994, BGBl. I S. 1749.

²⁰ EuGH Slg. 1989, 2965 – Rs 68/88, Griechischer Mais = Neue Juristische Wochenschrift (NJW) 1990, 2245.

²¹ ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულება, ABI. 1992 C 191 S. 1.

²² ABI. 1995 C 316 S. 48; ამასთან *Waßmer, Martin Paul*, in: Grützner/Pötz/Kreß (Hrsg.), Internationaler Rechtshilfeverkehr in Strafsachen, 3. Aufl., 29. Lieferung 2012, III C 4.7.

²³ PIF = Protection des Intérêts Financiers.

²⁴ ABI. 1996 C 313 S. 1.

²⁵ ABI. 1997 C 151 S. 1.

²⁶ ABI. 1997 C 221 S. 11.

შესახებ.²⁷ ოქმი ზოგადად მიმართული იყო მექრთამეობასთან დაკავშირებული ქმედებების წინააღმდეგ დაცვის მექანიზმების გაძლიერებისკენ.

გ) საერთო ღონისძიებები

საერთო ღონისძიებებიც ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა, ვინაიდან სახელმწიფოებისთვის დათქმების გაკეთება ისევ დასაშვები იყო და შესაბამისად, ღონისძიებების მბოჭავი (სავალდებულო) ძალაც ნაკლებია.²⁸ მაგალითისთვის, 1998 წლის 3 დეკემბერს, მიღებულ იქნა საერთო ღონისძიება 98/699/JI ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების გაყინვას, ამოღებას, დანაშაულის საგნების ჩამორთმევას.²⁹

1. ამსტერდამის და ნიცას ხელშეკრულებები (1.5.1999-დან 30.11.2009-მდე)

ა) ზოგადი მიმოხილვა

1997 წლის 2 ოქტომბერს³⁰ დადებული ამსტერდამის ხელშეკრულებით, მესამე სვეტი შეიზღუდა საპოლიციო და იუსტიციური თანამშრომლობით სისხლის სამართლის საქმეებში. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების შესახებ 31-ე მუხლის ლიტ. ე-ს თანახმად, ერთობლივი მოქმედებები მოიცავდა ასევე ღონისძიებების მიღებას მინიმალური სტანდარტის მქონე ნორმებით ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის და ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობის სფეროში სისხლისსამართლებრივი ქმედებებისა და სასჯელების განსაზღვრის თაობაზე. ნიცას 2001 წლის 26 თებერვლის³¹ ხელშეკრულებაში (ძალაში შევიდა 2003 წლის 1 თებერვლიდან) აღნიშნული დებულებები ხელშეუხებელი დარჩა. მოქმედების ფორმებად ევროპული გაერთიანების

შესახებ ხელშეკრულების 34-ე მუხლი ითვალისწინებდა შეთანხმებას და ასევე საერთო ღონისძიება შეიცვალა ე.წ ჩარჩო გადაწყვეტილებით.

ბ) ჩარჩო გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვან დანაშაულთა სფეროში

ჩარჩო გადაწყვეტილებები ასევე სუსტი ძალის მქონე რეგულაციებად იქნა მიჩნეული. მართალია, იგი დასახული მიზნის მისაღწევად სავალდებულო ძალის იყო, თუმცა არ გააჩნდა უშუალო მოქმედება, რის გამოც ნევრ სახელმწიფოებს მისი იმპლემენტაციისთვის დიდი სივრცე ჰქონდათ. ეკონომიკური სისხლის სამართლის სფეროში მნიშვნელოვან ჩარჩო გადაწყვეტილებებს წარმოადგენდა, უპირველეს ყოვლისა, ჩარჩო გადაწყვეტილება ფულის გაყალბებასთან,³² ფულის გათეთრებასთან,³³ თაღლითობასა და უნაღდო ანგარიშსწორებით სიყალბესთან³⁴ დაკავშირებით, ასევე ადამიანით ვაჭრობასთან,³⁵ კერძო სექტორში კორუფციასთან³⁶ და კომპიუტერულ დანაშაულთან³⁷ მიმართებით. ამ რეგულაციების მეშვეობით გაიზარდა ევროპული სამართლის გავლენა.

გ) სისხლისსამართლებრივი დამატებითი კომპეტენცია (ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო)

აღნიშნულთან ერთად, ევროპული გაერთიანება შეეხო დანაშაულთა დამატებით სფეროს. სისხ-

³² საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/383/JI ჩარჩო გადაწყვეტილება ევროს შემოტანასთან დაკავშირებული ფულის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სისხლისსამართლებრივი და სხვა სანქციებით, ABI. L 140 S. 1.

³³ საბჭოს 2001 წლის 26 ივნისის 2001/383/JI ჩარჩო გადაწყვეტილება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული გამოძიების, თანხის გაყინვის, ამოღების, დანაშაულის საგნების ჩამორთმევის შესახებ, ABI. L 182 S. 11.

³⁴ საბჭოს 2001 წლის 28 მაისის 2001/413/JI ჩარჩო გადაწყვეტილება უნაღდო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ თაღლითობასა და სიყალბესთან ბრძოლის შესახებ, ABI. L 149 S. 1.

³⁵ საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის 2002/629/JI ჩარჩო გადაწყვეტილება ადამიანის ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ, ABI. L 203 S. 1.

³⁶ საბჭოს 2003 წლის 22 ივლისის 2003/568/JI ჩარჩო გადაწყვეტილება კერძო სექტორში ქრთამის შესახებ, ABI. L 192 S. 54.

³⁷ საბჭოს 2005 წლის 24 თებერვლის 2005/222/JI ჩარჩო გადაწყვეტილება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის შესახებ, ABI. L 69 S. 67

²⁷ ევროპული გაერთიანების ან ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოების მოხელეების მონაწილეობით ჩადენილი მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის ხელშეკრულების K. მუხლის მესამე აბზაცის საფუძველზე დადებული შეთანხმება, ABI. C 195, S. 2.

²⁸ შეად. მხოლოდ *Waßmer, Martin Paul*, in: Grützner/Pötz/Kreß (Hrsg.), *Internationaler Rechtshilfeverkehr in Strafsachen*, 3. Aufl., 28. Lieferung 2012, III C 4.4. Rn. 6, 12.

²⁹ ABI. 1998 L 333 S. 1.

³⁰ ABI. 1997 C 340 S. 1.

³¹ ABI. 2001 C 80 S. 1.

ლის სამართლის გამოყენებით³⁸ გარემოს დაცვის შესახებ ჩარჩო გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნის განხილვის დროს, 2005 წელს, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ³⁹ დაადგინა, რომ სისხლის სამართალი, ისევე როგორც სისხლის სამართლის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გაერთიანების კომპეტენციაში არ შედის, აღნიშნული გაერთიანების კანონმდებელს არ აბრკოლებს, მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები. ამის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ქმედითი, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციების გამოყენება ინტენსიური ჩარევის წინააღმდეგ მიმართული „აუცილებელი“ ღონისძიება უნდა იყოს. თუმცა, სასამართლოს განმარტებით, გარემოს დაცვის სფეროში უპირატესობის მქონე უნდა იყოს დირექტივის გამოცემა, რის გამოც ჩარჩო გადაწყვეტილება მცდარ სამართლებრივ საფუძველს ემყარება და ამის გამო იგი გაუქმებულია. სწორედ ამგვარად იქნა ჩარჩო გადაწყვეტილება გემების მიერ ზღვის დაბინძურებასთან⁴⁰ დაკავშირებით ბათილად მიჩნეული. სასამართლოს ამ მსჯელობამ, რომელიც სისხლისსამართლებრივ დამატებით კომპეტენციას დაეყრდნო, გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნაწილობრივ მოწონება⁴¹ დაიმსახურა, უმეტესად კი, არ იქნა გაზიარებული.⁴² კრიტიკის საგანი იყო ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის სფეროში წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის გათვალისწინებით, პირდაპირ ფორმულირებული კომპეტენციის გადაცემა არ მომხდარა. ამის მიუხედავად, აღნიშნული სისხლისსამართლებრივი დამატებითი კომპეტენციის გამოყენება მრავალჯერ

მოხდა, მაგალითისთვის გამოიყენა დირექტივა გემების მიერ ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებით,⁴³ სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის თაობაზე,⁴⁴ და ასევე დამსაქმებელთა სანქციების დირექტივა,⁴⁵ რომელიც დამსაქმებლის წინააღმდეგ სანქციებისა და სხვა ღონისძიებების მინიმალურ სტანდარტს ანებსება მართლზომიერი ცხოვრების (ბინადრობის) უფლების გარეშე მესამე ქვეყნების მოქალაქეთა დასაქმებისთვის.

დ) ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვა

საბოლოოდ, სადავო იყო, ევროპულ გაერთიანებას ჰქონდა თუ არა თავისი ფინანსური ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის სფეროში ჩარევის კომპეტენცია. ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 280-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, მართალია, ევროპული კავშირის საბჭოს შეეძლო ამ სფეროში ღონისძიებების მიღება თალლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, თუმცა, ამასთანავე ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 280-ე მუხლის პირველი აბზაცის მეორე წინადადებით წევრ სახელმწიფოთა „სისხლის სამართლის გამოყენება“ და სისხლის სამართალწარმოება ამ ღონისძიებებისგან „ხელშეუხებელი“ რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დათქმა უმეტესად⁴⁶ ისე განიმარტებოდა, რომ გაერთიანებას სისხლის

³⁸ საბჭოს 2003 წლის 27 იანვრის 2003/80/JI ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ, ABI. L 29 S. 55.

³⁹ EuGH Sig. I 2005, 7907 = NSZ 2008, 702.

⁴⁰ საბჭოს 2005 წლის 12 ივლისის 2005/667/JI ჩარჩო გადაწყვეტილება საზღვაო გემებით დაბინძურებასთან სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით ბრძოლის შესახებ, ABI. L 255 S. 164.

⁴¹ Böse, Martin, Goldammer's Archiv für Strafrecht (GA) 2006, 211 ff.; Frenz, Walter/Wübberhorst, Hendrik J. C., wistra 2009, 449, 450; Suhr, Oliver, Zeitschrift für Europarechtliche Studien (ZEuS) 2008, 45, 57 ff.

⁴² შეად. მხოლოდ Braum, Stefan, wistra 2006, 121 ff.; Hefendehl, Roland, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik (ZIS) 2006, 161 ff.; Heger, Martin, Juristen Zeitung (JZ) 2006, 310 ff.; Kaiafa-Gbandi, Maria, ZIS 2006, 521, 523 ff.; Pohl, Tobias, ZIS 2006, 213 ff.

⁴³ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/35/საზღვაო გემებით ზღვების დაბინძურებისა და დარღვევებისთვის სანქციების შემოღების შესახებ, ABI. L 255 S. 22; შეცვლილი ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის 2009/123/EG დირექტივით, რომელმაც ჩაანაცვლა 2005/35/EG დირექტივა საზღვაო გემებით ზღვების დაბინძურებისა და დარღვევებისთვის სანქციების შემოღების შესახებ ABI. L 280 S. 52.

⁴⁴ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის 2008/99/EG დირექტივა გარემოს სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით დაცვის შესახებ, ABI. L 328 S. 28.

⁴⁵ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის 2009/52/EG დირექტივა სანქციებისა და ღონისძიებების მინიმალური სტანდარტების შესახებ იმ დამსაქმებლების წინააღმდეგ, რომლებიც მესამე ქვეყნების მოქალაქეებს ცხოვრების უფლების გარეშე ასაქმებენ, ABI. L 168 S. 24.

⁴⁶ შეად. მხოლოდ BT-Drucks. 13/9339 S. 13; Griese, Antonia, Europarecht (EuR) 1998, 476; Satzger, Helmut, Strafverteidiger (StV) 1999, 132 ff.

სამართლის რეგულირების კომპეტენცია არ გააჩნდა, ნაწილობრივ⁴⁷ გაჩნდა მოსაზრებაც, რომ აღნიშნული დათქმა გულისხმობდა მხოლოდ სისხლის სამართლის „გამოყენებას“ და არა მის „დადგენას“, რის გამოც გარკვეულწილად სისხლის სამართლის კომპეტენციაც აღიარებული უნდა ყოფილიყო. კომისია ნებისმიერ შემთხვევაში ეყრდნობოდა სისხლისსამართლებრივი დამატებითი კომპეტენციის არსებობას და 2001 წელს წარმოადგინა წინადადება დირექტივასთან⁴⁸ დაკავშირებით, თუმცა მისი მიზლების თაობაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღებული.⁴⁹

2. ლისაბონის ხელშეკრულება (1.12.2009-დან)

ა) ზოგადი მიმოხილვა

2007 წლის 13 დეკემბრის⁵⁰ ლისაბონის ხელშეკრულების დადებიდან, რომელიც 2007 წლის 1 დეკემბერს შევიდა ძალაში, ევროკავშირის სფეროს სისტემა გაუქმდა. ევროკავშირის როგორც მანამდე, არც ახლა აქვს სისხლის სამართლის სფეროში კომპეტენცია, თუმცა იუსტიციური თანამშრომლობის სფეროში იგი უფლებამოსილია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის პირველი აბზაცის საფუძველზე ორდინალური პროცედურით სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში მიიღოს ღონისძიებები სამართლებრივი დებულებების დაახლოების მიზნით.

ბ) მინიმალური რეგულაციები

სისხლისსამართლებრივ ქმედებებთან და სასჯელებთან მიმართებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა სფეროში

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის პირ-

ველი ქვეაბზაცის თანახმად, შესაძლებელია მინიმალური მომწესრიგებელი ნორმების მიღება სისხლისსამართლებრივი ქმედებებისა და სასჯელების განსაზღვრის მიზნით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა სფეროში, რომელთა წინააღმდეგ მოქმედება „დანაშაულთა სახეობის თუ ზემოქმედების ანდა განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, ერთიან საფუძველს უნდა ემყარებოდეს“, თუ მას „ტრანსნაციონალური ხასიათი“ გააჩნია. ამ დანაშაულთა სფეროს, ამავე ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მეორე ქვეაბზაცის თანახმად, განეკუთვნება ტერორიზმი, ადამიანთა ვაჭრობა და ქალების და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ფულის გათეთრება, კორუფცია, ფულის გაყალბება, კომპიუტერული დანაშაული და ორგანიზებული დანაშაული. აღნიშნული კომპეტენცია მრავალჯერ იქნა გამოყენებული. ეკონომიკური სისხლის სამართლისთვის მნიშვნელოვანია დირექტივა ადამიანთა ვაჭრობის შესახებ,⁵¹ კომპიუტერული დანაშაულის შესახებ დირექტივა⁵² და ფულის გაყალბების შესახებ დირექტივა.⁵³

ამასთან ერთად, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მესამე ქვეაბზაცის თანახმად, ერთხმად მიღებული დადგენილებით ევროპული პარლამენტის თანხმობის შემდეგ, საბჭოს შეუძლია განსაზღვროს დანაშაულთა სხვა სფეროებიც, რომლებიც ხსენებულ კრიტერიუმებს შეესაბამება. ასეთი დადგენილება, რომელიც აფართოებს ხელშეკრულების შინაარსს, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ლისაბონის გადაწყვეტილებით,⁵⁴ ხელშეკრულების შეცვლას გაუთანაბრა და ის პარ-

⁴⁷ შეად. უპირველესყოფისა *Tiedemann, Klaus*, AGON 17 (1997), S. 12 f.; *ders.*, GA 1998, 107, 108 in Fn. 7; შეად. ასევე *Zieschang, Frank*, ZStW 113 (2001), 255, 260.

⁴⁸ KOM(2001) 272 endg., ABI. 2001 C 240 E, S. 19; კრიტიკულად *Satzger, Helmut*, Zeitschrift für Rechtspolitik (ZRP) 2001, 549 ff.

⁴⁹ შეად. *Waßmer, Martin Paul*, in: Grütznert/Pötz/Kreß (Hrsg.), Internationaler Rechtshilfeverkehr in Strafsachen, 3. Aufl., 29. Lieferung 2012, III C 4.7 Rn. 16

⁵⁰ ABI. 2007 C 306 S. 1.

⁵¹ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2011 წლის 5 აპრილის 2011/36/EU დირექტივა ადამიანთა ვაჭრობის პრევენციისა და ბრძოლისა და მისი მსხვერპლების დაცვის შესახებ, ასევე 2002/629/JI ჩარჩო გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, ABI. L 101 S. 1.

⁵² ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 12 აგვისტოს 2013/40/EU დირექტივა ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმისა და 2005/222/JI ჩარჩო გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, ABI. L 218 S. 8.

⁵³ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის 2014/62/EU დირექტივა ევროსა და სხვა ვალუტების გაყალბებისგან დაცვისა და საბჭოს 2000/383/JI ჩარჩო გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, ABI. L 151 S. 1.

⁵⁴ BVerfGE 123, 267, 412f., 436 – Lissabon.

ლამენტის დათქმას დაუქვემდებარა. ევროპული კავშირის საბჭოს გერმანიის წარმომადგენელს უფლება აქვს ხმა მისცეს ამ დადგენილებას კეჭისყრისას ანდა თავის შეკავების უფლებით ისარგებლოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარლამენტის შესაბამისი კანონი ძალაში შევა.

გ) მინიმალური სტანდარტის ნორმები

სისხლისსამართლებრივი ქმედებებისა და სასჯელებისთვის უკვე ჰარმონიზებულ სფეროში

ამასთან, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, შესაძლებელია დირექტივების მეშვეობით იმ სისხლისსამართლებრივი საკითხების მინიმალურ დონეზე მონესრიგება, რომელთა დაკავშირებით ჰარმონიზების ღონისძიებები უკვე მიღებულია, თუ საკანონმდებლო დაახლოებაა „აუცილებელი“. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ლისაბონის გადაწყვეტილებაში⁵⁵ აღნიშნული მიიჩნია „სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის მნიშვნელოვან გაფართოებად“; მისი განმარტებით, კონსტიტუციურ დებულებებთან მისი შესაბამისობისთვის მოცემული უნდა იყოს „აღსრულების სერიოზული დეფიციტი, რომელიც დამტკიცებადია და მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გამოყენებით შეიძლება აღმოფხვრილ იქნას“. ამის შემდეგ, ეს კომპეტენცია გამოყენებულია 2014 წელს ახალი დირექტივის მიღებით „ბაზრის ბოროტად გამოყენების“⁵⁶ შესახებ, რომლის იმპლემენტაციაც 2016 წლის 3 ივლისამდე უნდა მომხდარიყო.

დ) „დამამუხრუჭებელი“ პროცედურა

სისხლის სამართლის კომპეტენციის შეზღუდვა შესაძლებელია ე.წ. „დამამუხრუჭებელი“ პროცედურის გამოყენებით, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად. აღნიშნულის მიხედვით, საბჭოს წევრ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს საბჭოს საქმიანობის შეჩერების შესახებ, თუ მას მიაჩნია, რომ დირექტივის პროექტი მისი სისხლისსამართ-

ლებრივი წესრიგის ფუნდამენტალურ ასპექტებს ეხება. აქედან გამომდინარე, არსებობს „ვეტოს უფლება“.⁵⁷ თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა და მინიმუმ 9 წევრი სახელმწიფო არ მოისურვებს დირექტივის პროექტის საფუძვლებზე გაძლიერებული მუშაობის დასაბუთებას – აღნიშნული უფლებამოსილება გამოყენებულად ითვლება.

ე) ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა

ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის საკითხი საბოლოოდ პირველადი სამართლის ფარგლებში მონესრიგდა. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მეოთხე აბზაცის თანახმად, ევროპულ პარლამენტს და საბჭოს შეუძლიათ ორდინალური საკანონმდებლო პროცედურის გამოყენებით, თაღლითობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით, მიიღონ სავალდებულო ღონისძიებები. ევროპული გაერთიანების შესახებ 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მეორე წინადადებით გაკეთებული დათქმა გაუქმებულ იქნა. აღნიშნულით, გავრცელებული მოსაზრების თანახმად⁵⁸, ევროკავშირმა დაადგინა პირდაპირი სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია, რაც გულისხმობს ევროპული სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების რეგულაციებით მონესრიგების შესაძლებლობას. საწინააღმდეგო მოსაზრება⁵⁹ კვლავაც უარყოფს ამგვარი კომპეტენციის არსებობას იმაზე დაყრდნობით, რომ ასეთი უფლებამოსილების მინიჭება ევროკავშირისთვის „en passant“ დაუშვებელია. კომისიამ, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესა-

⁵⁷ Rosenau, Henning/Petrus, Szabolcs, in: Vedder/Heintschel von Heinegg (Hrsg.), Europäisches Unionsrecht, 2012, Art. 83 AEUV Rn. 26.

⁵⁸ შეად. Hecker, Bernd, Europäisches Strafrecht, 5. Aufl. 2015, § 14 Rn. 54; Rosenau, Henning/Petrus, Szabolcs, in: Vedder/Heintschel von Heinegg (Hrsg.), Europäisches Unionsrecht, 2012, Art. 83 AEUV Rn. 7; Satzger, Helmut, Internationales und Europäisches Strafrecht, 7. Aufl. 2016, § 8 Rn. 27; Spitzer, Harald/Stiegel, Ute, in: von der Groeben/Schwarze/Hatje (Hrsg.), Europäisches Unionsrecht, 7. Aufl. 2015, Art. 325 AEUV Rn. 8; Waldhoff, Christian, in: Callies/Ruffert (Hrsg.), EUV/AEUV, 5. Aufl. 2016, Art. 325 AEUV Rn. 6; a.A. Sturies, Jonas, Online-Zeitschrift für Höchstgerichtliche Rechtsprechung zum Strafrecht (HRRS) 2012, 273, 276 ff.

⁵⁹ Zöller, Mark, in: Bergmann (Hrsg.), Handlexikon der Europäischen Union, 4. Aufl. 2012, S. 855, 856.

⁵⁵ BVerfGE 123, 267, 411 – Lissabon.

⁵⁶ 16.4.2014 წლის 2014/57/EU დირექტივა საბაზრო მანიპულაციების დროს სისხლისსამართლებრივი სანქციების შესახებ, ABl. L 173 S. 179.

ხელშეკრულების 325-ე მუხლის საფუძველზე, 2012 წლის ივლისში ახალი წინადადება წარადგინა PIF-დირექტივასთან⁶⁰ დაკავშირებით, თუმცა კანონმდებლებითი პროცესი ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ დასრულებულა.⁶¹

საბოლოოდ, ევროპული კავშირის საბჭოს თაღლითობასთან ბრძოლის სფეროში ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლის პირველი ქვეაბზაცის გამოყენებით, აქვს პირველადი სისხლის პროცესუალურსამართლებრივი კომპეტენცია. ამის მიხედვით, საბჭოს შეუძლია რეგულაციებით ევროპული პროკურატურა აამოქმედოს. სამომავლოდ ამ სფეროში კიდევ ერთი რეგულაციაა მოსალოდნელი, ვინაიდან კომისიამ 2013 წლის ივლისში შესაბამისი ინიციატივა⁶² წარადგინა.

მოქმედი სისხლის მატერიალურსამართლებრივი და პროცესუალურსამართლებრივი ნორმების დადგენაზე.

4. სამომავლოდ, დინამიური განვითარების ფონზე მოსალოდნელია, რომ ევროკავშირმა ახალი და დეტალური რეგულაციები წარადგინოს ევროპული ეკონომიკური სისხლის სამართლის დარგში.

III. დასკვნა

1. ევროპული ეკონომიკური სისხლის სამართალი მოიცავს ყველა დანაშაულს, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის დროს იქნა ჩადენილი, რის გამოც მას არაინდივიდუალური ხასიათი აქვს და ევროკავშირის ოთხ ძირითად მიმართულებას ანდა მის ორგანოებს ეხება.
2. ევროპული პირველადი სამართალი აწესებს ზედა და ქვედა ზღვარს ნაციონალური ეკონომიკური სისხლის სამართლისათვის. პირველ რიგში კანონის განმარტება უნდა იყოს ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში და მას შეძლებისდაგვარად ეფექტური მოქმედების ძალა უნდა მიანიჭოს.
3. ლისაბონის ხელშეკრულებით ევროკავშირს დირექტივების მეშვეობით სისხლისსამართლებრივი ქმედებებისა და სასჯელების განსაზღვრის კომპეტენცია მიენიჭა. ეს კომპეტენცია საკანონმდებლო დაახლოების მიზნით მოიცავს არა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე ტრანსნაციონალურ დანაშაულებს, არამედ ასევე უკვე ჰარმონიზებულ დარგებს. დამატებით, ევროკავშირს თავისი ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით უკვე აქვს კომპეტენცია პირდაპირ

⁶⁰ Com(2012) 363 final.

⁶¹ შეად. Interinstitutionelles Dossier 2012/0193 (COD), S. 2.

⁶² KOM(2013) 534 endg.

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ირაკლი დვალიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რის გადასაჭრელადაც აუცილებელია როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე ნაციონალურ სამართლებრივი ნორმების შემუშავება და ჰარმონიზაცია. არანაკლებ საყურადღებოა, უკვე არსებული სამართლებრივი ნორმების ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზების დროული გამოსწორება. წინამდებარე სტატიაში განხილულია ტერორიზმთან საერთაშორისო ბრძოლის საქმეში საქართველოს „ჩართულობის“ ამსახველი სამართლებრივი მექანიზმები, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებანი და მათი ახლებურად მოწესრიგების გზები.

II. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება და ტერორიზმთან ბრძოლის ვალდებულება

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოწერიდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც საქართველო კიდევ ერთხელ იღებს სამართლებრივ ვალდებულებას ითანამშრომლოს ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან. ნიშანდობლივია, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პრეამბულიდანვე გამომდინარეობს, რომ საქართველო სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებთან ერთად ვალდებულია უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში.¹

¹ „...ვალდებულებას იღებენ რა, ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულსა და უკანონო ვაჭრობას (ტრეფიკინგს)

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაში ტერორიზმთან განუხრელი ბრძოლის შესახებ რამდენიმე ადგილზე არის ხაზგასული. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი პრინციპების მე-2 მუხლში, ტერორიზმიც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვში მოიაზრება, მასთან ბრძოლა განსაკუთრებულად არის გამოყოფილი. აღნიშნული შეთანხმების მე-12, მე-19 და 116-ე მუხლებიც ასევე პირდაპირ მიუთითებენ ხელმომწერი სახელმწიფოს ვალდებულებას ტერორიზმის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი მოქმედების შესახებ. უფრო მეტიც, ტერორიზმის პრევენციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ასევე მითითებულია სხვა ისეთ დანაშაულებთან განუხრელ ბრძოლაზე, როგორცაა, ფულის გათეთრება და ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვა. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში გადამწყვეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტერორიზმის დაფინანსების წყაროების აღმოფხვრას. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად გამოყოფენ ტერორიზმის დაფინანსების სამ ძირითად წყაროს: სახელმწიფოები და ორგანიზაციები; შემოქმედებითი საქმიანობებით მიღებული შემოსავლები (ფონდი, შემონირულობა, კულტურული და სოციალური წვეულებანი და ა.შ.); დანაშაულები.²

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მე-20 მუხლის (თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში) 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტით საქართველომ ტერორისტულ დანაშაულთა კრიმინალიზაციის ვალდებულება აიღო. ამგვარი ვალდებულების აღება, ბუნებრივია, არ

და კიდევ უფრო გააძლიერონ თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.“

² *Benton, E. Gup, Money Laundering, Financing Terrorism and Suspicious Activities, 2007, P. 40-42.* ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ასევე იხ. *Mary, B. Erlande (Editor), Terrorist Financing, 2006.*

ნიშნავს იმას, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებამდე საქართველოს არ გააჩნდა ტერორიზმთან რეპრესიული სამართლებრივი მექანიზმებით ბრძოლის ნორმატიული ბაზა და გამოცდილება.

III. ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისოსამართლებრივი აქტები და ეროვნული კანონმდებლობა

1. საერთაშორისოსამართლებრივი აქტები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან, მათ შორის ტერორიზმთან, ბრძოლის სფეროში არსებულ მრავალ საერთაშორისო კონვენციას თუ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ტერორიზმის პერვენიციისა და მასთან ბრძოლის შესახებ კონვენციებიდან აღსანიშნავია 1977 წლის 27 იანვრის ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1999 წლის 9 დეკემბრის გაეროს კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ, 2005 წლის 13 აპრილის გაეროს კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე, 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ და სხვ.

ევროპის კავშირის ორგანიზებისა და ნევრი სახელმწიფოების მიერ, ისევე როგორც სხვა მძიმე დანაშაულებთან მიმართებით ტერორიზმთან საბრძოლველად არაერთი საგულისხმო სამართლებრივი ნორმა იქნა შემუშავებული. კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებით, ევროკავშირის დონეზე პირველად განისაზღვრა ტერორისტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობების ნიშნებისა და მათთვის სანქციების შესახებ ერთიანი მინიმალური დებულებები. ტერორისტულ დანაშაულებზე ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ 2005 წლის 20 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება კი, მიზნად ისახავს ნევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის გაძ-

ლიერებას. 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.³

2. ეროვნული კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

შიდასახელმწიფოებრივი კანონებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია 2007 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. მოცემული კანონი შესაბამისობაშია საერთაშორისოსამართლებრივ აქტებთან, ხოლო იგი, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. აღნიშნული კანონის მე-20 მუხლში ხაზგასმულია, რომ „ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობს უცხო ქვეყნებთან, მათ სამართალდამცავ ორგანოებთან, სასამართლოებთან და სპეციალურ სამსახურებთან, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას.“

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 2007 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ტერორიზმი განმარტებულია როგორც „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების

³ ტურავა, მერაბ, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 436.

განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.“

მისასაღმებელია, რომ 2007 წლის 27 ივნისის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, ასევე შეიცავს ტერორისტული მიზნის, საერთაშორისო ტერორიზმის, ტერორისტის, ტერორისტული ჯგუფისა და სხვა ტერორისტული დანაშაულთან ან მასთან ბრძოლის მექანიზმებთან დაკავშირებულ დეფინიციებს.

ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ყურადღებას იქცევს, საქართველოს მთავრობის დადგენილება (№254 2014 წლის 26 მარტის დადგენილება) ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონტრტერორისტული საქმიანობის კოორდინაციას კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით ახორციელებს.

ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ და პრევენციის საკითხში გამოცემულია არაერთი მნიშვნელოვანი ბრძანება:

- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 21 აპრილის ბრძანება №46/04 კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე;
 - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №61/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე;
 - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2016 წლის 5 მაისის ბრძანება №47/04 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს ისიც, რომ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ

საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, „ტერორიზმთან ბრძოლისას საქართველოს კანონმდებლობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ზედამხედველობენ საქართველოს მთავარი პროკურორი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორი“. ასევე ნიშანდობლივია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პირდაპირი დათქმაც იმის შესახებ, რომ სასამართლოს უფლება აქვს, მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს: „კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

3. ტერორიზმთან ბრძოლა და მატერიალური სისხლის სამართლი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ტერორისტულ დანაშაულებს ცალკე XXVIII თავი აქვს დათმობილი და მოთავსებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის⁴ XXVIII თავი მთლიანად ეძღვნება ტერორისტულ დანაშაულებს, საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით შეიძლება, დავასკვნათ, რომ ტერორისტული დანაშაულებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემცველია სსკ-ში მოცემული სხვა დანაშაულის შემადგენლობანიც. კერძოდ, საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხლი); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227¹-ე მუხლი); მეკობრეობა (სსკ-ის 228-ე მუხლი). საჰაერო ხომალდისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227³-ე მუხლი); ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხლი);

⁴ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ მოთხოვნა (სსკ-ის 231¹-ე მუხლი); ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ან გამოყენების მუქარა (სსკ-ის 231²-ე მუხლი); ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხლი). მაშასადამე, ტერორისტული ხასიათის დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ერთად თავმოყრილი არ არის.

დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს, ტერორისტული ხასიათის დანაშაულებმა კარდინალური ცვლილებები და დამატებები განიცადა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ეტაპობრივად ახორციელებს ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო ხასიათის ნორმათა იმპლემენტაციას, რაც საერთაშორისო კონვენციებიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემადგენელი ნაწილია.

წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხილული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის თავისებურებას წარმოადგენს:

1) სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნაში ვეღარ ვხვდებით სსკ-ში არსებულ წამახალისებელ ნორმას, რომლის მიხედვითაც „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.“ ამგვარი ე.წ. პოსტკრიმინალური წამახალისებელი ნორმის ამოღება გამართლებულია ტერორიზმთან გაძლიერებული ბრძოლის პოლიტიკით. ამოცემული ცვლილება ნაწილობრივ შეესაბამება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-6 მუხლს, რომელიც მსგავს სიტუაციებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას კრძალავს, მაგრამ იქვე ვხვდებით დისპოზიციურ მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, თუმცა საქართველო სსსკ-ში აღნიშნული ნორმა არ არის იმპლემენტირებული;

2) მოქმედი სსკ-ის თავდაპირველი რედაქციით ტერორისტული მიზანი მხოლოდ ტერორისტული აქტის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის შე-

მადგენლობის (სსკ-ის 323-ე მუხლი), დისპოზიცივაში გვხვდებოდა (ისიც შეზღუდულად), ხოლო სსკ-ის XXVIII თავში მოცემული ტერორისტული დანაშაულების სუბიექტურ შემადგენლობებში მხოლოდ ტერორისტულ მიზანზე იყო მითითება. ყოველივე ეს მოუხერხებლად აქცევდა სხვა ქმედებათა ტერორისტულ დანაშაულებად კვალიფიკაციას. მისასალმებელია, რომ დღესდღეობით სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია ტერორისტული მიზნის დეფინიცია, რომელიც სსკ-ის XXVIII თავში მოცემული თითქმის ყველა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისთვის აუცილებელი ორიენტირია (გამონაკლისია, მაგალითად, სსკ-ის 324¹-ე, 325-ე, 326-ე და ა.შ.). კანონმდებლის ამგვარი მიდგომა კანონიერების პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია.

3) ასევე გამართლებული უნდა იყოს ისიც, რომ ტერორიზმის მიზნად მხოლოდ მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზანი აღარ არის დასახელებული, როგორც ამას ვხვდებით მოქმედი სსკ-ის თავდაპირველ რედაქციაში. ტერორისტული მიზანი უფრო გაფართოვდა. კერძოდ, მოქმედი სსკ-ით ტერორიზმს აქვს რამდენიმე ალტერნატიული მიზანი:

- ა) მოსახლეობის დაშინება;
- ბ) ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება;
- გ) ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.

4) სსკ-ის 329-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა ტერორისტულ მიზანთან ერთად მიუთითებს **რელიგიური ორგანიზაციის იძულების მიზანზეც**, რაც ალტერნატიულად აფუძნებს ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტურ შემადგენლობას. ტერორისტულ მიზანთან ერთად ამგვარი ალტერნატიული მიზნის მითითება განაპირობა იმან, რომ საქართველოს კანონმდებლობით ტერორისტულ მიზანში მუქარის ადრესატად მოხსენიებული არ არის რელიგიური ორგანიზაცია.

5) სსკ-ის 324-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია: „ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან

მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიოაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ან და ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, ჩადენილი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ან ტერორისტული მიზნით“.

როგორც ვხედავთ, აქ ტერორისტულ მიზანთან ერთად მითითებულია არა ზოგადად მოსახლეობა, რომელიც ადამიანთა ფართო მასებს მოიცავს, არამედ შევიწროებულია და სამიზნე ობიექტად მითითებულია ფიზიკური ან იურიდიული პირი.

6) 1999 წლის გაეროს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე საქართველოს სსკ-ს დაემატა 331¹-ე მუხლი (ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა). ამ მუხლის შემოღება, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ტერორისტული აქტის დაფინანსება აღნიშნულ ცვლილებამდე დანაშაულში თანამონაწილეობად (დახმარებად) კვალიფიცირდებოდა, მაინც გამართლებულია, რადგან დაუსჯელი არ რჩება უშედეგო დახმარება და მოსამზადებელ სტადიაზე აღმოჩენილი ამგვარი ქმედება უკვე დამთავრებულ დამოუკიდებელ დანაშაულად ფასდება, რისთვისაც პასუხისმგებლობაც შესაბამისად მაღალია;

7) საინტერესოა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უკანასკნელი წლების განმავლობაში დასჯადად გამოცხადდა ტერორისტულ ორგანიზაციაში განწევრებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება (სსკ-ის 327¹-ე მუხლი). ასევე შეიძლება ითქვას, რომ უკვე სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ აისახა ტერორისტულ დანაშაულთა თავში საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, ჩადენილი ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 329¹-ე); ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მონოდება (სსკ-ის 330¹-ე მუხლი); წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის (სსკ-ის 330²-ე მუხლი). ყოველივე ეს შეესაბამება 2008 წლის 28 ნოემბერს ევ-

როკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ ჩარჩო-გადაწყვეტილებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

IV. სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ხარვეზები

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზოგად ნორმასთან ერთად პასუხისმგებლობის დამძიმების ან შემსუბუქების მიზნით იქმნება სპეციალური ნორმა, რომელიც გამორიცხავს იდეალურ ერთობლიობას და კვალიფიკაცია მხოლოდ სპეციალური ნორმით ხორციელდება.

ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად უკანასკნელ წლებში იქმნებოდა სპეციალური ნორმები, თუმცა ამგვარმა კაზუსტიკამ ცალკეულ შემთხვევებში რიგი უხერხულობანი წარმოშვა. კერძოდ:

1) განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე სსკ-ს დაემატა შემდეგი სპეციალური ნორმები:

- ა) ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მონოპოლიობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 323¹-ემუხლი);
- ბ) ქურდობა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით (სსკ-ის 330³-ე);
- გ) გამოძალვა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით (სსკ-ის 330⁴-ე);
- დ) ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით (სსკ-ის 330⁵-ე);

ასეთი დამატებების განხორციელება, მართალია, სიტყვა-სიტყვითი ინტერპრეტაციით შეესაბამება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილების 1-ლ და მე-3 მუხლებს, მაგრამ აბსოლუტურად გაუმართ-

ლებელია საქართველო სსკ-ის სსაკანონმდებლო ტექნიკისა და მოცემულ ტერმინთა სწორი ინტერპრეტაციის კუთხით. ზემოაღნიშნული ნორმების შემოტანამ არათუ სრულყო ქართული სისხლის-სამართლის კანონმდებლობა, არამედ გამოიწვია კვალიფიკაციის საკითხებში რიგი პრობლემებისა. მაგალითად, ქართული კანონმდებლობით ქურდობა მხოლოდ ფარულად ხორციელდება, რის გამოც გაუგებარი ხდება რატომ არ უნდა იყოს ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად ძარცვა ან ყაჩაღობა სპეციალური ნორმით დასჯადი და რატომ უნდა იწვევდეს ტერორისტული დანაშაულების ჩასადენად ქურდობა უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას. ასევე ალოგიკურია შემდეგი: თუკი გაძლიერებული პასუხისმგებლობაა დაწესებული ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლ-საწინააღმდეგო შექენაზე, შენახვაზე, ტარებაზე, დამზადებაზე, გადაზიდვაზე, გადაგზავნაზე, გასაღებას ან გამოყენებაზე ტერორისტული მიზნით, რატომ არ უნდა იყოს აღნიშნული საგნების მართლ-საწინააღმდეგო დაუფლებაზე სპეციალური ნორმა, რომელიც უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას დააწესებდა (აქ იგულისხმება, მაგალითად, თუკი ცეცხლ-სასროლი იარაღი ძარცვით ან თაღლითობით არის დაუფლებული).

უკიდურეს შემთხვევაში, თუკი კანონმდებელს სურს აღნიშნულ მუხლებში მოცემულ დანაშაულთათვის გაძლიერებული პასუხისმგებლობის დაწესება, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, უპრიანი იქნებოდა არა დამოუკიდებელი შემადგენლობების შექმნა, არამედ სსკ-ში უკვე არსებული ძირითადი შემადგენლობის გვერდით კვალიფიციური შემადგენლობების შექმნა.

2) კანონმდებლობის სრულყოფისთვის აუცილებელია სსკ-ის 324¹-ე მუხლში ცვლილებების განხორციელება. აღნიშნულ მუხლში მოცემული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა ალოგიკურად არის დავინროვებული და ტერორისტულ მიზნად მიჩნეულია არა სსკ-ის 323-ე მუხლში მოცემული ტერორისტული მიზანი, არამედ მისი ნაწილი. **კერძოდ, მხოლოდ მოსახლეობის დაშინება ან/და ხელი-სუფლების ორგანოზე ზემოქმედება.**

3) კოლიზიაა სსკ-ის 323-ე მუხლის 1-ლ ნაწილსა და სსკ-ის 323¹-ე მე-3 ნაწილს შორის. კერძოდ, სსკ-ის 323-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია იარაღის გამოყენებაზე, ხოლო 323¹-ე მე-3 ნაწილში

მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე მითითება. ორივე დანაშაულისთვის თანაბარი სიმკაცრის სანქციებია დაწესებული. შესაბამისად, ალოგიკურია აღნიშნული ორი ნორმის არსება.

4) სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ტერორისტული აქტის ჩადენას მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით, ხოლო სსკ-ის 324-ე მუხლი (ტექნოლოგიური ტერორიზმი) სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ დუბლირებას ახდენს, რაც კვალიფიკაციას ართულებს. კერძოდ, სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ობიექტური შემადგენლობა დაფუძნდება, თუკი **მასობრივი განადგურების იარაღი შექმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას.**

სსკ-ის 324-ე მუხლის მე-3 ნაწილი მასობრივი განადგურების იარაღის (ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის და ა.შ.) მხოლოდ გამოყენებაზე მითითებას. ამასთან, სსკ-ის 324-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი, იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობას ამძიმებს თუ ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი დადგება.

ასე რომ, გამოდის შემდეგი ალოგიკური მდგომარეობა: ა) თუკი მასობრივი განადგურების იარაღის მხოლოდ გამოყენებას აქვს ადგილი, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ-ის 324-ე მუხლის მე-3 ნაწილით; ბ) თუკი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება **ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას**, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; გ) თუკი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებამ ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით და არა სსკ-ის 324-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რადგან კანონი იქვე აკეთებს დათქმას მასობრივი განადგურების იარაღის (ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის და ა.შ.) მაკვალიფიცირებელი გარემოების ობიექტური შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ;

5) სრულყოფას საჭიროებს ასევე სსკ-ის 331¹-ე მუხლი (ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული

ლი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა). აღნიშნული მუხლის შენიშვნის მიხედვით, ტერორისტად მიჩნეული არა მხოლოდ სსკ-ის XXVIII თავით მოცემული დანაშაულების, არამედ სხვა თავებში მოთავსებული დანაშაულების ჩამდენი პირიც. ამგვარ დათქმაში პრობლემა ისაა, რომ იგი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან ეს უკანასკნელი ტერორისტის ცნებასა და ტერორისტულ საქმიანობას უფრო ვიწროდ განსაზღვრავს. კერძოდ, ტერორისტული საქმიანობის დეფინიცია შემოფარგლულია მხოლოდ სსკ-ის XXVIII თავით და დამატებით სსკ-ის სხვა მუხლებზე მითითებას არ აკეთებს. მაშასადამე, კოლიზიური ვითარება სახეზეა. ამასთან, გაუგებარია სსკ-ის 331¹-ე მუხლის შენიშვნის დათქმა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი მძევლად ხელში ჩამგდება ტერორისტად მიიჩნევა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ სსკ-ის 144-ე მუხლისა და სსკ-ის 329-ე მუხლის შერწყმა უნდა მოხდეს.

V. დასკვნა

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან როგორც პრევენციული, ისე რეპრესიული ხასიათის ფუნქციების განხორციელება. აღნიშნული ფუნქციების პრაქტიკული რეალიზაცია სამართლებრივ სახელმწიფოში წარმოუდგენელია კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციების გარეშე. სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავში უცილობლად გულისხმობს კანონიერების პრინციპის განუხრელ დაცვას და გამართული საკანონმდებლო ტექნიკის გათვალისწინებით არაკოლიზიური და არაბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად გამოაშკარავდა ის ძირითადი ხასიათის ხარვეზები, რომლებიც ტერორისტული ხასიათის დანაშაულის შემადგენლობებთან არსებობს, ხოლო ამ უკანასკნელის კვალობაზე წარმოდგენილია მათი აღმოჩენის კონკრეტული წინადადებები.

ბაჩანა ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2016, 246 გვ.

ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქ. **თემურ ცქიტიშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

კულტურულ საზოგადოებაში წიგნის გამოცემა მკითხველისთვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. თუმცა, მოვლენის მნიშვნელობა მხოლოდ წიგნის გამოცემის ობიექტური გარემოებით არ განისაზღვრება და დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად პასუხობს იგი მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა იგი ისეთ დარგს ეძღვნება, რომელიც ეროვნულ ენაზე მომზადებული ნაშრომების სიუხვით არ გამოირჩევა.

ქართულენოვანი ლიტერატურა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არც ისე მრავალფეროვანია. აქამდე რამდენიმე სახელმძღვანელო და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი გამოიცა, რომელთაგან ზოგიერთი მოძველდა კიდევ. ამდენად, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის¹ მოქმედი რედაქციის შესაბამისი სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს. აღნიშნული ამოცანის ნაწილობრივ განხორციელების მცდელობას წარმოადგენს ბაჩანა ჯიშკარიანის წიგნი, რომელიც ეძღვნება ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. დასახელებული წიგნი მოიცავს 5 თავს და მასში მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლების განმარტება, რომლებიც შედარებით გავრცელებულ დანაშაულებს ეხება. შესაბამისად, წიგნს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ პრაქტიკული დანიშნულება აქვს. წიგნში საკითხები განხილულია შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებითაც, ვინაიდან ავტორი ეყრდნობა არა მხოლოდ ქართულ, არამედ ასევე უცხოურ (გერმანულ, შვე-

იცარიულ და ავსტრიულ) ლიტერატურას და სასამართლო პრაქტიკის მასალებს.

შესაფასებელ წიგნში ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებათა შემადგენლობები დანაშაულის სამნიშნოვანი სისტემის მიხედვითაა განხილული და შესაბამისად, მოცემულია არა მხოლოდ ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნების, აგრეთვე მართლწინააღმდეგობისა და ბრალის პრობლემეტიკის ანალიზიც. თითოეული მუხლის განმარტებას თან ერთვის კაზუსის ამოხსნის სქემებიც. წიგნის დადებით მხარედ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი ზოგიერთი საკითხის ახლებურ გადაწყვეტას გვთავაზობს.

წიგნის სტრუქტურასა და მეთოდიკაზე ამ მოკლე შესავლის შემდეგ გვსურს მკითხველს წარმოვუდგინოთ შენიშვნები და საკუთარი მოსაზრებები წიგნში განხილულ ცალკეულ პრობლემებზე, რომლის მიზანია იმ საკითხების უკეთ წარმოჩენა, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

წიგნში განხილული საკითხებიდან ერთ-ერთი საკითხი, რომლის ავტორისეულმა გააზრებამაც ყურადღება მიიპყრო, არის შედეგიანი და უშედეგო დანაშაულების გამიჯვნა. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის მეცნიერებაში მიღებულია დელიქტების კლასიფიკაცია ხელყოფის და საფრთხის შემქმნელ, შედეგიან და უშედეგო დელიქტებად. საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თავის მხრივ, იყოფა კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებად. ქართულ სსკ-ში ერთი, 21-ე თავი ეთმობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს (127-136-ე მუხლები), რომელთაგან ნაწილი კონკრეტული, ხოლო მეორე ნაწილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებია. საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობები გაფანტულია სსკ-ის კერძო ნაწილის სხვა თავებშიც. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა

¹ სისხლის სამართლის კოდექსი ტექსტში შემოკლებულია, როგორც სსკ.

ენიჭება იმის გარკვევას, თუ რომელი დასჯადი ქმედება დელიქტთა რომელ წრეს ეკუთვნის.

უნდა ითქვას, რომ წიგნის ავტორის შეხედულება ზოგიერთი დელიქტის უშედეგო თუ შედეგიანი დელიქტებისთვის მიკუთვნებასთან დაკავშირებით მეტად საკამათოა და სათანადოდ არ არის დასაბუთებული. ეს შეეხება სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტს, რომელსაც ბ. ჯიშკარიანი უშედეგო დელიქტად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „შედეგის დადგომა 127-ე მუხლით დასჯადობის წინაპირობა არ არის და, შესაბამისად, მასზე მსჯელობა ზედმეტია. იგივე ითქმის მიზეზობრივ კავშირსა და ობიექტურ შერაცხვაზე“ (117-ე გვ).

სსკ-ის 127-ე მუხლით ისჯება „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად“. ქმედების შემადგენლობის მოცემული საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აქ საქმე ეხება კონკრეტული საფრთხის შემქნელ დელიქტს. კონკრეტული საფრთხის დელიქტი კი, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისგან განსხვავებით, შედეგიან დანაშაულებს მიეკუთვნება და შესაბამისად, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ქმედებით შექმნილ საფრთხეს შორის².

როგორც ქართულ³, ისე გერმანულ⁴ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სწორადაა გაზიარებული აზრი, რომ დანაშაულებრივი შედეგია არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, არამედ ხელყოფის კონკრეტული, რეალური საფრთხის შექმნაც. თუმცა, ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული აზრიც, რომლის მიხედვით, შედეგიან დელიქტებს მხოლოდ ხელყოფის დელიქტები წარმოადგენს.

მიუხედავად შედეგიანი და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართებაზე არსებული განსხვავებული შეხედულებებისა, თითქმის ყველა აღიარებს იმას, რომ კონკრეტული

საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია. ამაზე მიუთითებს საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლიც, რომლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის“.

როგორც უკვე ითქვა, 127-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა გულისხმობს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ ადამიანი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს. ამიტომ, გაკვირვებას იწვევს წიგნის ავტორის შემდეგი მსჯელობა: „არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავის ქმედების შედეგად პირი მაინცდამაინც უშუალოდ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდეს“ (118-ე გვ.). მოცემული მსჯელობა არ შეესაბამება სსკ-ის 127-ე მუხლის დისპოზიციას და წარმოადგენს ნორმის საწინააღმდეგო განმარტებას. ავტორი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როცა მას მოჰყავს ისეთი მაგალითი, სადაც თვითონ უთითებს დამნაშავის ქმედებით მსხვერპლის სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნაზე (118-ე გვ.). თუ დამნაშავის ქმედებამ ადამიანის სიცოცხლეს კონკრეტული, რეალური საფრთხე შეუქმნა, ეს უკვე ნიშნავს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მის ჩაყენებას“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობაც იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ 127-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი, შედეგიანი დელიქტია, სადაც მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს⁵.

კონკრეტული საფრთხე, აბსტრაქტულისგან განსხვავებით, არ არის ქმედების თვისება. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში სხვაგვარი მდგომარეობაა. კერძოდ, აბსტრაქტული საფრთხე იმთავითვე იქმნება განხორციელებული დასჯადი

² Heinrich, Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, Rn. 163 ff.; ციტიშვილი, თემურ, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, 2015, გვ. 22-23.

³ ნერეთელი, თინათინ, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2007, გვ. 419.

⁴ Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, §11 Rn. 147 f.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №1144აპ.

ქმედებით. ასეთ დელიქტებში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობა არა რეალური, არამედ თეორიულია. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იარაღის უკანონოდ შექენა, შენახვა. აღნიშნული ქმედებით აბსტრაქტული საფრთხე იმთავითვე იქმნება და არ არის საჭირო ქმედების განხორციელებიდან მცირე დროის გასვლაც.

ნიგნის ავტორს 127-ე მუხლის განმარტება უნდა დაეწყო იმის გარკვევით, თუ რა სახის დანაშაულის ისჯება აღნიშნული მუხლით, როგორია დანაშაულის ბუნება, რაც მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ გაეკეთებინა სწორი დასკვნები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა განსახილველი დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი. დანაშაულის ბუნების გარკვევა მნიშვნელოვანია სხვა საკითხების გადასაწყვეტადაც. კერძოდ, შეიძლება თუ არა კონკრეტული დანაშაულის მცდელობა, დანაშაულში თანამონაწილეობა რა ეტაპამდეა დასაშვები და სხვა.

127-ე მუხლით დასჯადი ქმედება, როგორც უკვე ითქვა, გულისხმობს „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენებას, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად“, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ საქმე ეხება საშიშ მდგომარეობაში იმ ადამიანის ჩაყენებას, ვისაც თავის დაცვის შესაძლებლობა არა აქვს. ასეთი შეიძლება იყოს მოხუცი, მცირეწლოვანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ა. შ (360-ე გვ.). ბ. ჯიშკარიანი ამ მოსაზრებას მცდარად მიიჩნევს (118-ე გვ.), თუმცა, იმავე ნაშრომში საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგოდ, იმასაც აღნიშნავს, რომ „ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისთვის აუცილებელია საფრთხეში იმ პირის ჩაყენება, ვისაც არ შეუძლია ამ საფრთხეს გაუმკლავდეს“ (117-ე გვ.). მართალია, კონკრეტული საფრთხე არა მხოლოდ უმწეოს, არამედ ნებისმიერ ადამიანს შეიძლება შეექმნას, მაგრამ 127-ე მუხლის დისპოზიცია, სამწუხაროდ, არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ იგი მსხვერპლად ნებისმიერ ადამიანს მოიზარებდეს, რაც კანონის ხარვეზს წარმოადგენს.

ბ. ჯიშკარიანი შედეგიან დელიქტებს მიაკუთვნებს გაუპატიურებას (137-ე მუხ.). გერმანულენოვან წყაროზე დაყრდნობით, გაუპატიურების შედეგად მიიჩნევს იმას, რომ „მსხვერპლი ითმენს მის მიმართ სქესობრივი შინაარსის ქმედებებს, მსხვერ-

პლი ამყარებს სხვასთან, თავისი სურვილის გარეშე იძულებით სქესობრივ კავშირს“. შესაბამისად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებად განიხილავს მიზეზობრივ კავშირს და ობიექტურ შერაცხვას (154-ე გვ.). აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. თუ გაუპატიურების დროს დანაშაულებრივ შედეგად ჩავთვლით მსხვერპლის მიერ დამნაშავის დანაშაულებრივი ქმედების, ზემოქმედების თმენას, მაშინ შედეგიან დანაშაულად უნდა განვიხილოთ ყაჩაღობაც (179-ე მუხ.), თავისუფლების უკანონო აღკვეთაც (143-ე მუხ.), ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევებშიც განიცდის მსხვერპლი დამნაშავის დანაშაულებრივ ზემოქმედებას, რომლის თმენაც უნევს.

მართებულია როგორც ქართულ⁶, ისე ზოგიერთ არაქართულენოვან⁷ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ გაუპატიურება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. მიუხედავად იმისა, რომ გაუპატიურება ლახავს მსხვერპლის სქესობრივ თავისუფლებას, პატივსა და ღირსებას, მაინც შედეგგარეშე დანაშაულთან გვაქვს საქმე. თუ სქესობრივი თავისუფლების დარღვევა იქნებოდა განხილული დანაშაულებრივ შედეგად, შედეგიან დანაშაულად უნდა მიჩნეულიყო თავისუფლების უკანონო აღკვეთაც, ვინაიდან დასახელებული დანაშაულის განხორციელებაც იწვევს გარკვეულ შედეგს თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. დასახელებული შედეგი შედეგია ფორმალური გაგებით. შედეგის ფორმალური გაგებით უშედეგო დანაშაული არც არსებობს, ვინაიდან ნებისმიერი დანაშაული იწვევს განსაზღვრულ შედეგს. როდესაც ერთმანეთისგან იმიჯნება შედეგიანი და უშედეგო დანაშაული, მხედველობაშია შედეგი მატერიალური გაგებით, რაც დანაშაულებრივი ქმედებისგან შეიძლება გამოიყოს და იგი ყოველთვის არ მოსდევს დამნაშავის ქმედებას.

გაუპატიურების განხორციელებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მსხვერპლის უმწეობის გამოყენებას. ქართული სსკ-ის მიხედვით, ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ფსიქიკურად შეურაცხთან ან მცირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დროს. ქართული

⁶ *გოთუა, ზურაბ*, პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, 1994, გვ. 7; *წულაია, ზაურ*, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, 2000, გვ. 179.

⁷ *Журавлев М.П., Никулин С.И.*, (Ред.), Уголовное право, Общая и Особенная часть, 2-е издание, 2008, გვ. 382.

სსკ ცალკე შემადგენლობად არ გამოყოფს მსხვერპლის ფსიქიკური შეურაცხადობის გამოყენებას მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებისთვის და, შესაბამისად, აღნიშნული ქმედებაც გაუპატიურების მუხლით კვალიფიცირდება. ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი მსხვერპლის მხრიდან დანაშაულის მიმართ წინააღმდეგობის განწვევა ან ამის მცდელობა, ქმედება გაუპატიურებად რომ დაკვალიფიცირდეს. საინტერესოა, ავტორი როგორ გადაწყვეტდა ქმედების კვალიფიკაციის საკითხს, როცა მსხვერპლი სქესობრივ კავშირზე წინააღმდეგობას არც გამოხატავს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებით, გაუპატიურება მაინც განხორციელებულად ითვლება, ვინაიდან მსხვერპლი საკუთარი ნების გამოხატვისთვის უუნაროდ ითვლება და რაც მთავარია, მსხვერპლს არ შესწევს იმის გაცნობიერების უნარი, თუ რა ქმედება ხორციელდება მის მიმართ. როდესაც გაუპატიურების მსხვერპლი არის გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებისთვის უუნარო, არ მოწმდება და ვერც შემომწმდება მსხვერპლს სურდა თუ არა სქესობრივი კავშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერ/არ მოწმდება ისიც, მოუწია თუ არა მსხვერპლს არასასურველი სქესობრივი ქმედებების თმენამ.

სსკ-ის 140-ე მუხლით ისჯება სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება (ძალადობის გარეშე) თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. აღნიშნული დანაშაული დამთავრებულია სქესობრივი კავშირის დამყარებისას და არ მოითხოვს რაიმე შედეგის დადგომას. ამდენად საქმე ეხება შედეგგარეშე ანუ ფორმალურ შემადგენლობას. თუმცა, ბ. ჯიშკარიანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და თვლის, რომ 140-ე მუხლით დასჯადი დანაშაული შედეგანია. დანაშაულებრივ შედეგად იგი განიხილავს თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის ნორმალური სქესობრივი განვითარებისთვის ხელის შეშლას (178-ე გვ.). 140-ე მუხლი მართლაც იცავს თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის სქესობრივ და ფიზიკურ განვითარებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, განსახილველი დანაშაული მაინც შედეგგარეშე დანაშაულია. სქესობრივი განვითარებისთვის ხელის შეშლა ის შედეგია, რომელიც მომავალში შეიძლება დადგეს და მისი დადგენა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ან თუნდაც სასამართლოში საქმის განხილვისას შეუძლებელია.

მეცნიერულადაც შეუძლებელია იმ ასაკობრივი ზღვრის ზუსტად დადგენა, რა ეტაპამდეც შეიძლება

ადგილი ჰქონდეს სრულწლოვნის სქესობრივი მოქმედებით მცირეწლოვნის განვითარების ხელყოფას. დანაშაულის დასჯა იქნებოდა ილუზორული, თუ დასადგენი გახდებოდა, გამოიწვია თუ არა ქმედებამ მცირეწლოვნის განვითარების ხელყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთი სქესობრივი დანაშაული სამართლებრივი სიკეთისთვის აბსტრაქტული საფრთხის შექმნის კონცეფციას ეფუძნება⁸. მცირეწლოვნის განვითარების ხელყოფას იმთავითვე რომც ინვესტეს ქმედების განხორციელება, მოსამართლისთვის შეუძლებელიც არის ამის გარკვევა⁹. საინტერესოა, განსახილველი წიგნის ავტორი მოსამართლე რომ ყოფილიყო, როგორ დაადგენდა ამგვარ შედეგს?! კანონმდებელი ზოგჯერ მოსამართლეს პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე არ სთხოვს შედეგის დადგენას, ვინაიდან ზოგიერთი „შედეგის“ ბუნების გათვალისწინებით მისი დადგენა თითქმის შეუძლებელია. ამდენად ქმედების კვალიფიკაციისთვის საკმარისი ხდება მხოლოდ ქმედების განხორციელების ფაქტის დადგენა.

ნორმალური სქესობრივი განვითარებისთვის ხელის შეშლას, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს, ავტორი განიხილავს 141-ე მუხლით დასჯად ქმედებასთან (გარყვნილი ქმედება) მიმართებითაც და სტუდენტებს აძლევს რეკომენდაციას, რომ კაზუსის ამოხსნისას ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში იმსჯელონ დანაშაულებრივ შედეგზე (182-ე გვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი წიგნის მომდევნო გვერდებზე განსახილველ დანაშაულს ფორმალურ დანაშაულებს მიაკუთვნებს (184-ე გვ.), რაც არათანმიმდევრულ მსჯელობას წარმოადგენს. მაშინ, როცა კაზუსის ამოხსნის სქემაში ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნად შედეგია მითითებული, მიზეზობრივ კავშირზე იმავე სქემაში არაფერია ნათქვამი, რაც ასევე გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან იქ, სადაც შედეგი დგება, მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროებაც წარმოიშობა.

144-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე კაზუსის ამოხსნის სქემაში ქმედების ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგად მითითებულია „მძევლობა“ (196-ე გვ.), რაც არ არის

⁸ *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 2. Auflage, 2009, §10 Rn. 4.*

⁹ *Anastasopoulou, Ioanna, Deliktstypen zum Schutz kollektiver Rechtsgüter, 2005, S. 65.*

გასაზიარებელი. მიველად ხელში ჩაგდება არის ფორმალური დანაშაული და ქმედების განხორციელებისას იურიდიულად, ფორმალურად უკვე განხორციელებულია. შეუძლებელია ამ ქმედების ისე განხორციელება, რომ დაზარალებული მიველობაში არ იმყოფებოდეს. მაშინ, როცა მიველად ხელში ჩაგდებას ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში ავტორი ქმედებით გამოწვეულ შედეგზე უთითებს, თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობაში ქმედების განხილვით კმაყოფილება (187-ე გვ.). თუ მიველად ხელში ჩაგდებას ქმედების ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს შედეგის დადგომას, შედეგი უნდა დადგინდეს თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევაშიც, ვინაიდან ამ ორი დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობა ერთნაირია და განსხვავება, ძირითადად, სუბიექტურ შემადგენლობაშია, მაგრამ ამის საჭიროება არცერთ დასახელებულ შემადგენლობებზე არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შედეგი (მსხვერპლის თავისუფლების შეზღუდვა) ორივე შემთხვევაში არსებობს. თუმცა, ეს არ არის შედეგი მატერიალური გაგებით.

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა მკვლელობა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით (არასრულწლოვნისა ან) უმწეო მდგომარეობაში მყოფისა. უმწეო მდგომარეობაში მყოფად ითვლება პირი, რომელიც თავის დაცვის შესაძლებლობას მოკლებულია სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს ასაკი (ახალშობილი), ფსიქიკური მდგომარეობა და სხვა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ბ. ჯიშკარიანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობად ითვლება მკვლელობა მოულოდნელი და მუხანათური თავდასხმის შედეგად (35-36-ე გვ.). ავტორი ამ მსჯელობას გერმანული სსკ-ის კომენტარებზე დაყრდნობით ავითარებს. გერმანული სსკ-ის 211-ე პარაგრაფის შესაბამისად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად ითვლება მკვლელობა ვერაგულად, მუხანათურად (*heimtückisch*), როდესაც მკვლელი მალულად, ჩასაფრებით კლავს მსხვერპლს (*Meuchelmord*)¹⁰. საკითხავია, რამდენად შეიძლება ერთმანეთთან გავა-

იგივით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა და ვერაგული მკვლელობა. ჩასაფრებით მკვლელობა ითვლება ვერაგულ მკვლელობად, მაგრამ ვერ ჩაითვლება უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობად. შესაბამისად, გაუმართლებელია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლი გერმანული სსკ-ის 211-ე პარაგრაფის ანალოგიურად განიმარტოს. ქართული სსკ-ის ნორმები არ არის გერმანულ სსკ-ში მოცემული ნორმების იდენტური, ამიტომ გერმანული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია ქართული კანონმდებლობის თავისებურებების და იმ განსხვავებების გათვალისწინება, რომლებიც არსებობს სისხლის სამართლის ამ ორ კოდექს შორის. ავტორს უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა და ვერაგული მკვლელობა კი არ უნდა გაეიგივებინა ერთმანეთთან, არამედ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ მათ ერთმანეთისგან გამიჯნავდა და იმსჯელებდა იმაზე, ხომ არ არსებობს ქართულ სსკ-ში ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რათა შესაძლებელი გახდეს სსკ-ის 109-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაცია, როცა საქმე ვერაგულ მკვლელობას ეხება.

სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე (მკვლელობა *ისეთი საშუალებით*, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) მსჯელობისას ბ. ჯიშკარიანი მიუთითებს, რომ „მხოლოდ ერთი სხვა პირისთვის საფრთხის შექმნა არ ქმნის ამ შემადგენლობას, ვინაიდან მსგავსი ფართო განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციით გარანტირებულ კანონიერების პრინციპთან“ (33-ე გვ.).

აღნიშნული მსჯელობა არ არის ზუსტი. ავტორი არ ითვალისწინებს იმას, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელმა დამამძიმებელ გარემოებად გამოაცხადა დანაშაულის ჩადენა სხვათა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ანუ საყოველთაოდ საშიში საშუალებით. ეს შეიძლება იყოს ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი მონყობილობის გამოყენება, ცეცხლის წაკიდება, მონამვლა¹¹

¹⁰ Eisele, Jörg, *Strafrecht, Besonderer Teil I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit*, 3. Auflage, 2014, Rn. 107.

¹¹ დასახელებული საშუალებები რომ შეფასდეს როგორც საყოველთაოდ საშიში, აუცილებელია რიგი გარემოების გათვალისწინება. მაგალითად, როცა მკვლელობა ხორციელდება ცეცხლსასროლი იარაღის მიზანმიმართულ გასროლით, ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. იგივე ითქმის აფეთქებით მკვლელობაზეც, როცა იგი ხორციელდება ტყეში, უკაცრიელ ადგილას ან

და ა. შ. საყოველთაო საშიშროების იარაღი მას იმიტომ ჰქვია, რომ იგი აბსტრაქტულ საფრთხეს ისედაც ქმნის ერთზე მეტი (მრავალი) ადამიანისთვის¹². შეუძლებელია საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენებით მკვლევლობა ისე განხორციელდეს, რომ აბსტრაქტული საფრთხე მხოლოდ ერთ ადამიანს შეექმნას. საყოველთაოდ საშიში საშუალებით აბსტრაქტული საფრთხის შექმნისას ალოგიკურიც არის კითხვის დასმა იმასთან დაკავშირებით, კანონმდებელმა მხოლოდ ერთი ადამიანისთვის აბსტრაქტული საფრთხის შექმნა იგულისხმა, თუ ერთზე მეტისთვის. ისედაც ცხადია, რომ აქ ერთზე მეტი ადამიანი იგულისხმება. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ტერმინ „სხვათა“-ს გამოყენება. მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მაშინ, როცა მკვლელობის განსახორციელებლად გამოყენებული საყოველთაოდ საშიში საშუალება არა მხოლოდ აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის, არამედ კონკრეტულსაც? რასაკვირველია, არა! კონკრეტული საფრთხე, როგორც წესი, (ერთ ან ერთზე მეტს, მაგრამ) პირთა განსაზღვრულ რაოდენობას ექმნება¹³, განსხვავებით აბსტრაქტული საფრთხისგან. აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება პირთა განუსაზღვრელ წრესაც შეექმნას¹⁴. მიუხე-

თუნდაც მონამვლით მკვლელობაზე, თუ ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთი ჭიქა წყლის მონამვლას, რომელიც მსხვერპლმა დამნაშავეს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ დალია. მაშასადამე, მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება: მკვლელობის განსახორციელებლად გამოყენებული საშუალება ქმნიდა თუ არა ისეთ საფრთხეს, რომელიც მოქმედი პირის ბატონობის ფარგლებს სცდებოდა.

¹² საყურადღებოა, რომ 1960 წლის სსკ-იც (104-ე მუხლის მე-6 ნაწილი) „მრავალი პირის სიცოცხლისთვის საშიში“ იარაღის გამოყენებას ითვალისწინებდა მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

¹³ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირი რომ დგინდება ეს მიუთითებს იმაზე, რომ აქ საქმე ეხება მსხვერპლთა განსაზღვრულ რაოდენობას. შეუძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა მსხვერპლთა განუსაზღვრელობის პირობებში. თუ დავუშვით, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებშიც შეიძლება მსხვერპლთა რაოდენობა განუსაზღვრელი იყოს, მაშინ საეჭვო გახდება მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხი.

¹⁴ არსებობს ისეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტიც, რომელიც მხოლოდ ერთი პირის მიმართაც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხ.), დაუხმარებლობა (129-ე მუხ.).

დავად ამისა, კონკრეტული საფრთხე თავისი საშიშროებით აბსტრაქტულზე მეტია, ვინაიდან საქმე ეხება რეალურად შექმნილ საფრთხეს, როცა აბსტრაქტული საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას ქმნის. მაშინ, როდესაც 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის განსახორციელებლად საკმარისია მკვლელობის დროს დანაშაულის იარაღით აბსტრაქტული საფრთხის შექმნა, მით უფრო „საკმარისი“ უნდა იყოს მკვლელის იარაღით რეალური, კონკრეტული საფრთხის შექმნა თუნდაც ერთი ადამიანისთვის¹⁵. უფრო მეტიც, შეიძლება ისეთ შემთხვევასთანაც გვქონდეს საქმე, როცა აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხე ერთდროულად იქმნება. კერძოდ, მკვლელობის ადგილზე მყოფი პირისთვის კონკრეტული, ხოლო აბსტრაქტული საფრთხე დანაშაულის ადგილზე არმყოფი პირისთვის, რომელიც სხვა დროს შეიძლება იმ ადგილზე ყოფილიყო.

ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციას ავტორი არ ეთანხმება. მისი აზრით, ეს განმარტება არ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან თითქმის მთლიანად ეფუძნება ზნე-ჩვეულებისა და მორალის კატეგორიებს, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, „თანამედროვე სისხლის სამართალში არ წარმოადგენენ სამართლებრივ სიკეთებს“ (45-ე გვ.). როგორც ჩანს, ავტორს ავიწყდება, რომ საქართველოს სისხლის სამართლით დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს საზოგადოებრივი ზნეობა წარმოადგენს და, სსკ-ით, დასჯადად არის გამოცხადებული აღნიშნული სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. მაგალითად, მიცვალებული-სადმი უპატივცემულობაც, ქართული სსკ-ით, ასეთ დანაშაულად მიიჩნევა. ეს უკანასკნელი ქმედება დასჯადია გერმანული სისხლის სამართლის კოდექსითაც (168-ე პარაგრაფი). გარდა ამისა, ქართული სსკ-ით, დასჯადია თვით ხულიგნობაც (239-ე მუხ.), რომლის შემადგენლობის ნიშანია „საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“, რაც სწორედ მორალურ კრიტერიუმზე მიუთითებს.

¹⁵ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვა ავტორებიც გამოთქვამენ საპირისპირო შეხედულებებს, რომლის მიხედვით, განსახილველი დამამძიმებელი გარემოება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ერთზე მეტ ადამიანს შეექმნება რეალური, კონკრეტული საფრთხე, რაც მეტად საკამათოა.

მართალია, სისხლის სამართალი, როგორც ბასრი ინსტრუმენტი (*ultima ratio*), არ გამოიყენება, ზოგადად, ამორალობის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ქვეყანაში გაბატონებული მორალური შეხედულებები, კულტურული ნორმები თუ რელიგიური წარმოდგენები მხედველობაში მიიღება როგორც ცალკეულ ქმედებათა კვალიფიკაციისას, ისე სასჯელის შეფარდების დროსაც¹⁶.

დაუსაბუთებელია ასევე ავტორის მტკიცება, რომ თითქოს დამამძიმებელ გარემოებად უნდა მიიჩნეოდეს მკვლელობა სისხლის ალების ნიადაგზე. ავტორის აზრით, სისხლის ალების გაიგივება შურისძიებასთან და ქმედების 108-ე მუხლით კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინ იქნება დასაშვები, თუ „სახელმწიფო სტრუქტურები ნახევრად მოშლილია და მართლმსაჯულება ფაქტიურად ვერ ხორციელდება“ (46-ე გვ.). მოცემული მსჯელობა მიუღებელია, ვინაიდან სისხლის ალება შურისძიებისგან დიდად არც განსხვავდება. გარდა ამისა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ნორმალურად ფუნქციონირებს თუ არა სახელმწიფო სტრუქტურები. ამით შურისძიების და სისხლის ალების მნიშვნელობა არ იცვლება. სისხლის ალებას შეუძლებელია ყველგან ჰქონდეს ადგილი. თუ მკვლელი იმ რეგიონიდანაა, სადაც სისხლის ალების ტრადიცია მოქმედებს, ეს მოქმედი ქართული სსკ-ის მიხედვით, სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებადაც შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ტრადიციების და კონკრეტული კულტურული წრისადმი მსჯავრდებულის კუთვნილებისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, მსჯავრდებულის მშობლიურ ქვეყანაში მოქმედი ოფიციალური სამართალი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად ხომ არ აცხადებს მკვლელობას სისხლის ალების ნიადაგზე¹⁷.

ბ. ჯიშკარიანი სისხლის ალების მიზნით მკვლელობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მსჯე-

ლობისას ეყრდნობა გერმანულ ავტორებს. გერმანიის სსკ-ის 211-ე პარაგრაფით მარტივ მკვლელობასთან შედარებით უფრო მკაცრად ისჯება მკვლელობა დაბალი ქვენაგრძნობით (*niedrige Beweggründe*). არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დაბალ ქვენაგრძნობად. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, დაბალი ქვენაგრძნობითაა მკვლელობა ჩადენილი, როცა ადგილი აქვს, მაგალითად, შურისძიებას (*Rachsucht*), მართლმსაჯულების პირადად განხორციელებას (*Selbstjustiz*), სისხლის ალებას (*Blutrache*) და სხვა¹⁸. თუმცა, სისხლის ალების ნიადაგზე მკვლელობისას ქმედების კვალიფიკაციის საკითხი ერთმნიშვნელოვნადაც არ წყდება. მაგალითად, გერმანიის ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, სისხლის ალების მიზნით მკვლელობის დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მარტივი (*Totschlag*) და არა როგორც კვალიფიცირებული (*Mord*) მკვლელობა¹⁹, როცა დამნაშავე სხვა წარმოსახვით სამყაროში იმყოფება²⁰.

ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებაში არის მინიშნება იმაზეც, რომ პიროვნებას, რომელიც თავისი ტრადიციული, მორალური და ღირებულებითი წარმოდგენებიდან გამომდინარე, გერმანიაში სისხლის ალების მიზნით მკვლელობას განახორციელებს, გერმანიაში ყოფნის დროსაც არ აქვს შეცვლილი თავისი წარმოდგენები. ის თავს ვალდებულად თვლის, რომ ოჯახის ღირსების დასაცავად მსხვერპლი მოკლას, რის გამოც მისი პიროვნული გადაწყვეტილების თავისუფლება დანაშაულის ჩადენის დროს შეზღუდულია²¹. ეს კი პასუხისმგებლობის არა დამამძიმებელი, არამედ შემამსუბუქებელი გარემოებაა. შესაბამისად, იგი ვერ დააფუძნებს კვალიფიცირებულ შემადგენლობას. მაშასადამე, გერმანიის ფედერალური სასამართ-

¹⁶ აღნიშნულის თაობაზე ვრცლად იხ. *Valerius, Brian, Kultur und Strafrecht*, 2011.

¹⁷ მაგალითად, თურქეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად გამოცხადდა ღირსების დაცვის მოტივით მკვლელობა. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას წინ უძღოდა 2005 წელს სტამბულში განხორციელებული მკვლელობის შემთხვევა, რამაც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე ზემოქმედება მოახდინა, იხ. *ტელენბახი, სილვია*, ახალი თურქული სისხლის სამართალი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, 2016, გვ. 472.

¹⁸ *Eisele, Jörg, Strafrecht, Besonderer Teil I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit*, 3. Auflage, 2014, Rn. 89.

¹⁹ არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა „Mord“ მკვლელობის კვალიფიცირებული შემადგენლობა. აზრი ორად იყოფა: ერთი შეხედულებით იგი კვალიფიცირებული შემადგენლობაა, ხოლო მეორე მოსაზრებით დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობა.

²⁰ BGH NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht) 1995, 79.

²¹ BGH NStZ 1995, 79.

ლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობა გერმანული სამართლით ჩაითვლება თუ არა მაკვალიფიცირებელ გარემოებად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კულტურულ წრეს წარმოადგენს დამნაშავე, როგორია მისი ღირებულებითი ორიენტაცია და რამდენად ზღუდავს იგი პირის მოქმედების თავისუფლებას ქმედების განხორციელების დროს.

მაშინ, როცა გერმანული სსკ მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად დაბალ ქვენაგრძნობას ითვალისწინებს, ქართული სსკ-ის 109-ე მუხლში დაკონკრეტებულია ის მოტივები, რომლებიც მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამძიმებას იწვევს. ესენია: ხულიგნური ქვენაგრძნობა, შეუწყნარებლობა (რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური) და ანგარების მოტივი. სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობის განხორციელებას სარეცენზიო წიგნის ავტორი ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ მკვლელობას უთანაბრებს და ერთი და იგივე ნორმით კვალიფიკაციას მოითხოვს, რაც ქართული კანონმდებლობიდან ნამდვილად არ გამომდინარეობს. სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობა ქართული სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ არცერთ მოტივს არ გულისხმობს. ხულიგნური ქვენაგრძნობის და სისხლის აღების მოტივის გაიგივება იმდენადაა დაუშვებელი, რამდენადაც ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა მცირე საბაბით ჩადენილ მკვლელობას გულისხმობს. ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობისას, დამნაშავე იმდენად მცირე საბაბით მოქმედებს, რომ ზოგიერთი ავტორი მას უმოტივო მკვლელობასაც კი უწოდებს (რაც ასევე არ არის სწორი). თუმცა, სისხლის აღებაზე ვერ ვიტყვით, რომ მკვლელობა მცირე საბაბითაა ჩადენილი, ვინაიდან საქმე ეხება, მაგალითად, ღირსების დაცვას. მამასადამე, მკვლელობას წინ უძღვის მსხვერპლის მიერ დამნაშავეს ან მისი ოჯახის მიმართ განხორციელებული ის ქმედება, რომელიც დამნაშავეს მხრიდან ღირსების შემლახავად ფასდება. დამნაშავე ღირსების დასაცავად მოქმედებს.

1960 წლის საბჭოური სსკ-ის 104-ე მუხლის მე-8 ნაწილით, სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მართლაც მიიჩნეოდა, მაგრამ აღნიშნული გარემოება მაკვალიფიცირებელ გარემოებად არ ითვლება მოქმედი სსკ-ით. სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის პასუხისმგებლობის დამამძიმე-

ბელ გარემოებად გათვალისწინებაზე უარის თქმით კანონმდებელმა თავისი ნება უკვე გამოხატა და მიუხედავად ამისა, აღნიშნული გარემოების მიჩნევა სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ კანონის იგნორირებად ან არასწორ ინტერპრეტაციად შეიძლება იქნას აღქმული. 1960 წლის სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდა ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობასაც. ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა და სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა ერთი და იგივე რომ ყოფილიყო 1960 წლის სსკ-ში კანონმდებელს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა არ მოუწევდა.

ბ. ჯიშკარიანი ანგარების მოტივით ჩადენილ მკვლელობაზე მსჯელობის დროს იზიარებს გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას მოტივთა სიმრავლეზე (*Motivbündel*) და აღნიშნავს, რომ „მკვლელობის ჩადენის დროს დამნაშავე შესაძლებელია რამდენიმე სხვადასხვა მოტივით მოქმედებდეს“ (47-ე გვ.). მოტივთა სიმრავლესთან დაკავშირებით მსჯელობას ავტორი სარეცენზიო ნაშრომის სხვა გვერდებზეც იმეორებს (54-55-ე გვ.). როგორც ჩანს, მისთვის უცნობია ან გვერდს უვლის საპირისპირო მოსაზრებას, რომელიც გამორიცხავს ადამიანის მოქმედებას ერთზე მეტი მოტივით. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ცნობილი მეცნიერი დ. უზნაძე, რომელმაც თავის დროზე განათლება სწორედ გერმანიაში მიიღო, აღნიშნავდა: „არ არსებობს ერთი ქცევა, რომელსაც სხვადასხვა მოტივი შეიძლება ჰქონდეს. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრს და მნიშვნელობას აძლევს“²². რეალურად ორი საწინააღმდეგო მოტივი კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ადგილი აქვს მოტივაციის ფაქტორთა კონკურენციას²³.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის მცდელობაზე არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულე-

²² უზნაძე, დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ. 212.

²³ კიკნაძე, დიმიტრი, დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №13, გვ. 126; დვალაძე, ირაკლი, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 36.

ბით, დანაშაულის მცდელობა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვითაც დასაშვებია. ამ მოსაზრებას სარეცენზიო წიგნის ავტორიც იზიარებს (119-ე გვ.). სამწუხაროდ, ბ. ჯიშკარიანი არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობაზე ისე მსჯელობს, რომ ქართულ ლიტერატურაში გამოთქმულ საპირისპირო შეხედულებაზე ყურადღებას არც ამახვილებს, რაც მკითხველს იმის წარმოდგენას უქმნის, რომ თითქოს სხვა მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე არ არსებობდეს. აკადემიური წერის მეთოდი მოითხოვს და სასურველიც არის, რომ თუ საკითხი საკამათოა, ყველა არსებულ თეორიასა თუ შეხედულებაზე მკითხველს ინფორმაცია მიენდოს და არ იქნას საკითხი ცალმხრივად განხილული საპირისპირო არგუმენტების იგნორირებით.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი იზიარებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობა (სსკ-ის 113-ე მუხ.) შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით (69-ე გვ.). სამწუხაროდ, ავტორი არც კი ახსენებს ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმულ განსხვავებულ შეხედულებას²⁴.

ბ. ჯიშკარიანი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობას არა მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის, არამედ გაუფრთხილებლობის დროსაც უშვებს (69-ე გვ.). როგორც ჩანს, ავტორი არ ითვალისწინებს ქართული სსკ-ის კერძო ნაწილის სისტემას, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს განზრახ მკვლელობას და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით სიცოცხლის მოსპობას მკვლელობა ეწოდება, რომელიც, როგორც ითქვა, განზრახვას მოითხოვს და გაუფრთხილებლობას გამორიცხავს. 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული რომ მხოლოდ განზრახ ქმედებას გულისხმობს, ამაზე მიუთითებს თვით 113-ე მუხლის სათაურიც.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებაზე (130-ე მუხ.) მსჯელობისას სარეცენზიო წიგნის ავტორი

დახმარების სპეციალურ-სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს მხოლოდ ექიმსა და პაციენტს შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას ანუ შეთანხმების არსებობას (136-ე გვ.). აღნიშნული მსჯელობა, მართალია, ეყრდნობა გერმანულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, მაგრამ არ შეესაბამება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ორ შემთხვევას: ა) როდესაც ექიმის მოქმედების სპეციალურ-სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს ექიმსა და პაციენტს შორის არსებული (ნერილობითი ან სიტყვიერი) შეთანხმებიდან და ბ) როდესაც ასეთი შეთანხმების არარსებობის მიუხედავად, ექიმი მაინც ვალდებულია იმოქმედოს პაციენტის სასარგებლოდ. კერძოდ, სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში პაციენტის ყოფნისას. გარდა ამისა, საყურადღებოა დასახელებული კანონის 39-ე მუხლის შინაარსიც, რომელიც ითვალისწინებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განევასთან დაკავშირებით ექიმის ვალდებულებას არასამუშაო ადგილზეც. ის, რომ არასამუშაო ადგილზე ექიმის მიერ სამედიცინო დახმარების განევის ვალდებულებაზე საუბარია სწორედ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: ამ შემთხვევაში ექიმის ვალდებულება სპეციალურ-სამართლებრივია და არა სოლიდარული. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ჩანაწერის აუცილებლობა არ იქნებოდა იმ ნორმატიულ აქტში, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ექიმის უფლება-მოვალეობებსაც განსაზღვრავს.

ბ. ჯიშკარიანის თვალსაზრისით, „თუ პიროვნებამ იცის, რომ მას აქვს შიდა და სხვა პირთან ამყარებს დაუცველ სქესობრივ კავშირს მისი საქმის კურსში ჩაყენების გარეშე და სურს, რომ მას ამ გზით დაუზიანოს ჯანმრთელობა, გვექნება ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა (შიდასის შეყრის საფრთხის შექმნისას) ან დამთავრებული დაზიანება (შიდასის შეყრისას). რაც შეეხება უშუალოდ 131-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების სუბიექტურ მხარეს, ის გამოიხატება დამნაშავის ცოდნაში, რომ ის ინფიცირებულია და სურს ან უშვებს შესაძლებლობას ამ დაავადების სხვა პირისთვის გადადებისა. ის, რომ მას გადადების განზრახვა

²⁴ გამყრელიძე, ოთარ, წიგნში: გამყრელიძე/ტყეშელაძე/სურგულაძე/ტურავა/ებრაღიძე, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2002, გვ. 83-84; ცქიტიშვილი, თემურ, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, 2015, გვ. 222 და შემდეგი.

აქვს, არ ნიშნავს თავისთავად იმასაც, რომ მას მეორე პირის ჯანმრთელობის დაზიანება სურს“ (141-142-ე გვ.). აღნიშნული მოსაზრება ვერანაირად ვერ ჩაითვლება გამართლებულად და რაც ასევე მნიშვნელოვანია, საკითხის ასეთი გადანყვეტა, მას თეორიული საფუძველი რომც ჰქონდეს, არაპრაქტიკულიც არის. შეუძლებელია, მოქმედ პირს სხვა ადამიანის შიდსით დაინფიცირების სურვილის ქონისას არ გააჩნდეს მისი ჯანმრთელობის დაზიანების სურვილი. შიდსით დაინფიცირება ისედაც არის ჯანმრთელობის დაზიანება და ამიტომაც კვალიფიცირდება აღნიშნული ქმედება ასეთად გერმანული სსკ-ით. ვისაც სხვა ადამიანის შიდსით დაინფიცირების სურვილი აქვს, მას სურს მისი ჯანმრთელობის დაზიანებაც. სხვა პირის შიდსით დაინფიცირების სურვილის მიუხედავად, მისი ჯანმრთელობის დაზიანების სურვილის არქონაზე მსჯელობა ისეთივეა, პირს რომ ჰქონდეს სურვილი, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მსხვერპლმა დაკარგოს მხედველობა ან სმენა, მაგრამ ამის მიუხედავად, არ სურდეს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანება. ვინაიდან საქართველოს სსკ შიდსის შეყრისთვის სპეციალურ შემადგენლობას ითვალისწინებს, ქმედება ყოველთვის 131-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, როცა საქმე ეხება სხვა პირისთვის შიდსის განზრახ შეყრას. შიდსის შეყრის დროს ქმედების სხვა მუხლით კვალიფიკაცია გაუმართლებელია და რაც მთავარია, იგი არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან.

სარეცენზიო წიგნში ავტორს არაერთ საკითხზე აქვს გამოთქმული ისეთი მოსაზრება, რომელიც კრიტიკის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ყველა საკითხის მოცემულ წერილში განხილვა შეუძლებელია და სცდება წინამდებარე რეცენზიის ფორმატს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ საკითხთა ახლებურად გადანყვეტა საინტერესო და მისასალმებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება მოქმედ ქართულ კანონმდებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუაზრებლად, მექანიკურად ქართული კანონმდებლობის განმარტებამ უცხოური კომენტარების მიხედვით, მხოლოდ უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს როგორც საუნივერსიტეტო სწავლებისთვის, ისე პრაქტიკისთვის, ვინაიდან ქართული და უცხოური კანონმდებლობა მთელ რიგს საკითხებისას განსხვავებულად აწესრიგებს.

ანგარიში კონფერენციაზე:

„ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია“*

2016 წლის 4-5 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

სამართლის დოქ. ანნეკე პეტცჟე**, MSc (ოქსფორდის უნივერსიტეტი)

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში რიგით მე-9 საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც სამთავრობო პარტია „ქართულმა ოცნება“-მ 3/4 (კონსტიტუციური) უმრავლესობა მოიპოვა. ამგვარად, საქართველოში პრო-ევროპული პარტია ინარჩუნებს ძალაუფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსალოდნელია შემდგომი დაახლოება ევროკავშირთან, რომელთანაც საქართველომ 2014 წელს უკვე გააფორმა ასოცირების ხელშეკრულება. არჩევნების აღნიშნული შედეგების შესაბამისად, თბილისში, კერძოდ, საქართველოს უნივერსიტეტში, 2016 წლის 4-5 ნოემბერს, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით, ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია“, რომელიც ხაზს უსვამს არამხოლოდ საქართველოს ევროპული განვითარების ინტერესს, არამედ იმას, თუ რა სერიოზულობით მიისწრაფვის იგი ევროკავშირთან დაახლოებისათვის.

კონფერენცია ორგანიზებულ იქნა ასოც. პროფესორის, სამართლის დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანის მიერ („ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი), რომელმაც დოქტორის ხარისხი მოიპოვა გერმანიაში, ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის მიუნხენის უნივერსიტეტში და ასევე პროფესორ დოქ. მარტინ ვასმერის მიერ (კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტი), რომელიც უკვე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი და რომე-

ლიც ამავდროულად თანაკურატორობს კიოლნის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას თბილისში (LL.M. – „გერმანული სამართალი“). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონფერენციის ორივე ორგანიზატორი ორ ქვეყანას შორის არსებული კარგი ურთიერთობების მაგალითს წარმოადგენს. კონფერენციამ ბევრ ქართველ მონაწილეში, რომლებიც არამხოლოდ სამეცნიერო წრეებიდან, არამედ სხვადასხვა პრაქტიკული საქმიანობის სფეროდან იყვნენ წარმოდგენილნი (პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ა.შ.), განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

შეხვედრის მაღალ სამეცნიერო დონეზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ მასში როგორც გერმანული, ასევე ქართული მხრიდან ეკონომიკური და საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნობილი წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ვიზიტი გერმანული დელეგაციის თითქმის არც ერთი წევრისათვის საქართველოში სამეცნიერო მიზნებით პირველ ვიზიტს არ წამოადგენდა. კონფერენციისათვის შერჩეული სტრუქტურა, კერძოდ, ეკონომიკური სისხლის სამართლის ცალკეულ თემაზე გერმანული და ქართული მოხსენებების კონტრასტული წარდგენა, ინფორმაციის სიღრმისეული გაცვლისათვის ეფექტურ ფორმატს წარმოადგენდა.

კონფერენციის პირველ დღეს, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორის, ანა ხურციძის, IRZ-ის სამხრეთ კავკასიის პროექტების ხელმძღვანელის, ტერეზა თალჰამერის და საქართველოს უნივერსიტეტის კანცლერის, კონსტანტინე თოფურისას, გულითადი მისალმების შემდეგ, ქართული და გერმანული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის თემატიკაზე ერთგვარი შესავალი მოხსენებები გაკეთდა კონფერენციის ორივე ორგანიზატორის, ასოც. პროფესორის ჯიშკარიანისა და პროფესორ ვასმერის, მიერ. ასოც. პროფესორმა ჯიშკარიანმა, განიხილა ევრო-

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა თამარ ასათიანმა.

** ავტორი არის ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, ევროპული სისხლის სამართლისა და სამართლის უახლესი ისტორიის მიმართულების მეცნიერ-თანამშრომელი

კავშირის ზეგავლენები ქართულ კანონმდებლობაზე. მოხსენებისას, განსაკუთრებული ხაზი გაესვა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში წარმოქმნილ პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემებს და დასკვნის სახით ითქვა, რომ ევროკავშირის სიკეთეები, როგორცაა, მაგალითად ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა, ქართული სამართლის პრაქტიკოსებისათვის ჯერ კიდევ უცხოა. პროფესორმა *ვასმერმა* დეფინიციური განმარტების შემდგომ, მიმოიხილა ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის ისტორიული განვითარება დღემდე და აღნიშნული განვითარების საფუძველზე დაასკვნა, რომ მომავალში კვლავ მოსალოდნელია ეკონომიკური სისხლის სამართლისათვის ახალი და დეტალური მოთხოვნების დაწესება.

აღნიშნულს თან სდევდა პროფესორის, სამართლის *დოქ. ჰელმუტ ზატცგერის* (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის) მოხსენება „ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის“ თემაზე. მომხსენებელმა განმარტა დაცული ინტერესების შინაარსი, განიხილა დაცვის საჭიროება და ევროპულ და გერმანულ დონეზე არსებული აქტუალური სამართლებრივი რეგულაციები, რათა შემდგომ ყურადღება გაემახვილებინა მომავალში ევროკავშირის პროკურატურის შესაძლო შექმნის საკითხზე.

დასრულებისას, პროფ. *ზატცგერი* მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მინიმალურ ჰარმონიზაციას არ შეუძლია ყველა წევრ ქვეყანაში ყოვლისმომცველი, ერთნაირი დაცვის მექანიზმის შეთავაზება. გამომდინარე აქედან, მისი მოსაზრებით, ამ ვინოდ შემოსაზღვრულ სფეროში სასურველია სუპრანაციონალური სისხლის სამართლის შექმნა. სამწუხაროდ, აღნიშნულ თემაზე ქართული მოხსენების წარდგენა ვერ მოხერხდა, ქართველი მომხსენებლის, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, პროფესორის, სამართლის *დოქ. მერაბ ტურავას* განრიგის ცვლილების გამო.

შემდგომი მოხსენება წარადგინა თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა, სამართლის *დოქ. იორგ აიზელემ* თემაზე „ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება გერმანულ სისხლის სამართალში“. აღნიშნული დანაშაულის პრობლემატიკაზე ზოგად მონახაზს თან სდევდა ფულის გათეთრებაზე გერმანიის სსკ-ის §261-ის მიმოხილვა. გარდა ამისა, პროფ. *აიზელე* სიღრმისეულად შეეხა

ტერორიზმის დაფინანსების ახალ რეგულაციას გერმანიის სსკ-ის §89ც-ის მიხედვით, რა დროსაც მან ასევე განიხილა აღნიშნული ნორმისათვის ევროპულ და საერთაშორისო დონეზე დადგენილი ფარგლები და შეაფასა ნორმის გამოყენების პრაქტიკული პრობლემები. ამ მიმოხილვამ მომხსენებელი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ *de lege ferenda* ვალდებულებებმა „ფულის გათეთრების შესახებ“ კანონიც უნდა მოიცვას, ევროკავშირის კი შეუძლია ამგვარი განვითარებისათვის ერთგვარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდეს.

პროფესორმა, სამართლის *დოქ. ნონა თოდუამ* (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), წარადგინა მოხსენება თემაზე „ფულის გათეთრება და სხვა ეკონომიკური დანაშაულები ქართულ სისხლის სამართალში“. მან ფულის გათეთრების ქართულ შემადგენლობასთან ერთად, განიხილა ისეთი ეკონომიკური დელიქტები, როგორცაა თაღლითობა და სამოხელეო დანაშაულები. ამასთან, მისი მოხსენების ქვაკუთხედს აღნიშნულ დელიქტებს შორის კონკურენციის საკითხის განხილვა წარმოადგენდა.

პროფესორმა, სამართლის *დოქ. პეტრა ვიტემა*, (ლუდვიგ-მაქსიმილიანის მიუნხენის უნივერსიტეტი), მისი მოხსენება მიუძღვნა თემას „ევროპული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების გავლენა კორუფციის შემადგენლობებზე გერმანულ სისხლის სამართალში“. ნაციონალური სახელმწიფოებრივი რეჟიმისათვის დადგენილი საერთაშორისო და სუპრანაციონალური დანაწესების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, მომხსენებელმა სიღრმისეულად წარმოაჩინა გერმანიის სისხლის სამართლის ნორმები, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში კორუფციის შესახებ. ამასთან, მოხსენების მთავარ საკითხს გერმანულ სამართალზე საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტების კონკრეტული ზეგავლენების ანალიზი წარმოადგენდა.

მომხსენებელმა პრეზენტაცია დაასრულა ისეთ ახალ სადისკუსიო და განვითარებად სფეროებზე მითითებით, როგორცაა დეპუტატების მოსყიდვა და კორუფცია სპორტში. აღნიშნულს თან სდევდა პროფესორის, სამართლის *დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის* (საქართველოს უნივერსიტეტი) მოხსენება თემაზე „კორუფციის შემადგენლობები ქართულ სისხლის სამართალში და ევროკავშირის ზეგავლენები“. კორუფციის შემადგენლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, მომხსენე-

ბელმა დაასკვნა, რომ საქართველო უკვე იმყოფება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრის პროცესში და 2004 წლის სამთავრობო ცვლილების შემდეგ, უკვე გაძლიერდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, მომხსენებელმა განმარტა ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილი აქტიური და პასიური კორუფციის ფორმები.

პირველი დღის დასასრულს, პროფ. *ვასმერმა* წარადგინა მისი მეორე მოხსენება თემაზე „ფინანსური ბალანსის დელიქტები ამერიკული და ევროპული ზეგავლენების ქრილში“. აღნიშნულ სფეროში არსებული არაერთი სკანდალის ფონზე, ამ დელიქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. შესაბამისად, მომხსენებელმა დეტალურად წარმოადგინა ნორმები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების შემონმებისა და ანგარიშგების გამოქვეყნების შესახებ, რათა შემდგომ დეტალურად გამოეკვლია სანქციის რეჟიმისათვის დადგენილი ევროპული დანაწესები და ეროვნული კანონმდებლობა. თავის დასკვნაში მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობას და ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დღეს არსებული სიტუაციის საპირისპიროდ, როცა ევროკავშირის სამართალი სავალდებულოდ არ მიიჩნევა სისხლის სამართლის გამოყენებას, განსაკუთრებით მძიმე დარღვევის შემთხვევაში ევროკავშირის დონეზე ჯარიმის დადგენა ამომწურავად არის წარმოდგენილი.

შეხვედრის მეორე დღე დაიწყო პროფესორ *დოქ. ბერნდ ჰაინრიხის* (თიუბინგენის უნივერსიტეტი) მოხსენებით, თემაზე „თაღლითობის დელიქტები გერმანულ სისხლის სამართალში“. იგი აღნიშნულ ფართო თემას შეეხო დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებისა და მათი მთავარი პრობლემური ქვაკუთხედების სისტემური წარმოჩენით. პროფესორმა *დოქ. ჰაინრიხმა* განმარტებები წარმოაჩინა ცხადი მაგალითებით. მან ასევე სიღრმისეული მიმოხილვა მიუძღვნა ქონების ცნებას, მისი სადავო შინაარსიდან გამომდინარე. მომხსენებელმა პრევენციის სრულყოფისათვის ყურადღება გაამახვილა თაღლითობის ისეთ სპეციალურ შემადგენლობებზე, როგორცაა თაღლითობა სუბსიდიის მიღების მიზნით ან კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული თაღლითობა.

ქართველი მომხსენებლის, *ნინო ცაციაშვილის*, (საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკუ-

რორი), მოხსენება თემაზე „თაღლითობის შემადგენლობები ქართულ სისხლის სამართალში“ ორიენტირებული იყო პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლებრივ თაღლითობასა და სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულების დარღვევას შორის სხვაობის პრობლემურობაზე და იმ სირთულეებზე, რომლებიც წარმოიქმნება განზრახვასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, რასაც საბოლოოდ დასჯის შეფერხება შეუძლია.

სამართლის *დოქ. ანეკე პეტცემ* (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) წარადგინა მოხსენება თემაზე „ადამიანებით ვაჭრობა გერმანულ სამართალში და ევროკავშირის ზეგავლენები“. ადამიანებით ვაჭრობის ეკონომიკური სისხლის სამართლის ფენომენად კლასიფიცირების შემდეგ, მომხსენებელმა მიმოიხილა ევროკავშირის დონეზე არსებული სამართლებრივი განვითარება, რათა მის ფონზე გამოეკვლია და შეეფასებინა კონფერენციამდე მხოლოდ ორი კვირით ადრე შეცვლილი ტრეფიკინგთან ბრძოლის წინააღმდეგ გერმანული საკანონმდებლო ნორმები. დასკვნაში მან ყურადღება გაამახვილა იმ სირთულეებზე, რომელიც ეროვნულ კანონმდებელს ხვდება ევროპული დანაწესების გადმოტანის პროცესში და შეჯამებისას აღნიშნა, რომ ახალ ნორმებთან მიმართებითაც არსებობს მათი ხელახალი გადამუშავების საჭიროება.

სალომე შენგელიამ, რომელიც ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორს წარმოადგენს, მოხსენება გააკეთა თემაზე „ადამიანებით ვაჭრობა ქართულ სისხლის სამართალში და ევროკავშირის ზეგავლენები“. ქართული სისხლის სამართლის ნორმების განხილვის საფუძველზე, მომხსენებელმა დაასკვნა, რომ საქართველომ მთლიანობაში შეასრულა საერთაშორისო ვალდებულებები, თუმცა, დამნაშავის დასჯა პრაქტიკაში, დანაშაულის გახსნის სირთულეებიდან გამომდინარე, კვლავ პრობლემატური რჩება. გარდა ამისა, მან ყურადღება გაამახვილა ნორმის გამოყენების ისეთ პრობლემაზე, როგორცაა, მაგალითად ექსპლუატაციის მიზნის განმარტება.

დასრულებისას, პროფესორმა *ვასმერმა* მესამე მოხსენება წარადგინა თემაზე „ინსაიდერული ვაჭრობა და საბაზრო მანიპულაციები გერმანულ სისხლის სამართალში“. აღნიშნულ სფეროში სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების ლეგიტიმურო-

ბის დადასტურების შემდეგ, მომხსენებელმა მიმოიხილა საბაზრო მანიპულაციების შესახებ ევროკავშირის სამართლის განვითარება, რათა შემდგომ უფრო კონკრეტულად განეხილა ევროპული საბაზრო მანიპულაციების სამართლის ახალი დანაწესები. მომხსენებელმა დასკვნაში გარკვეული ეჭვები გამოთქვა, მათ შორის, *ultima ratio* და კანონიერების პრინციპთან მიმართებით, ასე რომ, იგი შედარებით უფრო შეზღუდული იმპლემენტაციის მომხრეა.

პროფესორის, სამართლის დოქ. ირაკლი დვალიძის, (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) პრეზენტაცია ეძღვნებოდა თემას „ინსაიდერული ვაჭრობა და საბაზრო მანიპულაციები ქართულ სისხლის სამართალში“. მომხსენებელმა ინსაიდერული ვაჭრობისა და საბაზრო მანიპულაციების სფერო, წარმოაჩინა, როგორც ქართულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი საკითხი. მან მიმოიხილა არსებული სისხლის სამართლის ნორმები, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილების ნაკლებობა არსებობს.

გერმანული გამოცდილების მიმართ ქართული მხარის დიდ ინტერესზე მეტყველებდა ცოცხალი დისკუსიები, რომლებიც მოხსენებებს თან სდევდა. მთლიანობაში, შესაძლებელი იყო ორივე მხარეს არსებული გაუგებრობების აღმოფხვრა. შესაბამისად, კონფერენციამ – როგორც ეს პროფესორმა *ვასმერმა* მის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში იმედით სავსემ აღნიშნა – ფაქტობრივად, „სიბნელეში მცირე სინათლე“ შეიტანა.